



ԷՐՈԳՈԼԸ ԿԱՎԱՐՈԱՆՈՏ-ԾԵ

იდებაა შაცხოვარსა, მხოლოსა იმე-
რთსა ჩუქნსა, — შამასა დაუსაბამო-
სა და ტესა შისსა შხოლოდშობილ-
სა და ცხოველს-მყოფელსა ყოვლად
წმიდასა სულსა შისსა, — ქომელი-იგი მისცემს
სიტყუასა მახარებელთა ძალითა მრავლითა.

Շն զայռ զոհպատ հիւշը աղճերագ Ոմրտուս
մոյր գանձաշլվրցիքաց յսյ սայրեծոլոց դա մը-
նեցաց զանոննիսաց յրտ-սլուլ յմնուլուտա մատուցա-
մոնաթոնտա, րոմըլնո մըրոց արօնան սաելուսա
ზեցա պովլագ նմուգուսա գրդոյլուսա հիւշնու-
սա Ոմրտուսմմուլելուսասա ալշերեծուլուսա յարո-
ւելու մոնասկուրսա Սյւրոնոնուսասա, րոմը-
լու-յսյ ալուներա դա դայմուկուցա ծրմանեցուտա
հիմ Լրցուլուսուտա, նեցուտա Ոմրտուսասատա սեզ-
ասգուսուսա դա գուգուսա գրմելստոյուսուսա պովլո-
սա Ծասացալուտուսասատա, մուսա սանագրուլուսա յր-
ուստացուտա մտացրուսա Կայուրունուսասատա, ալմո-
սացալուլուսա դա յարուվելուսասատա, րոմըլու-յսյ
մընք մամենցեծուլու զար პորչուլ ֆիշենցուլուսա
մուս աեալ-մենցեծուլուսա մոնասէտրուսա դա մաս შնոնա
սամարեռուսա մուս զանսասունցելուսա հիմուսա, րո-
մըլուցա սաելու-ցեցուտ նոցուլ առս սաելու-
սա ზեցա պովլագ նմուգուսա Ոմրտուսմմուլելուսա
ժարուամուսա դա մուսուսա մուս սաելու-ցանցմուլո-
սա դա մունուրուց մեծացալուլուսա նմուգուսա գրա-
րուսա դա յումբարուգաց զարցուսա գուգուսուսա Ոմր-
տուսա, րոմըլու-յսյ ալումարուտա մաս შնոնա մեմնցեց
դա մեսացագրուելուգ դա սայսրագ հիմուդա, ցուց-
ցուտա ցանցուրցուլուսա ամուս, դա տանս-մեջզուլուսա
մմուսա հիմուսա սանագրուլուսա Շեաչ մացուսգրո-
ւուսա.

ନୀରାଜତଙ୍ଗାନ ଉପ୍ରେ ମାଜୁନଦା ସିପ୍ରୁବାର୍ଯ୍ୟଲି ଏବଂ
ଦମ୍ଭଦାଇ ଶ୍ରୀଲୋକରୀ ପାତ୍ରିବିନ୍ଦୁରୀରୀ ମନ୍ଦିରରୀରୀ
ପାନ୍ଦିତାଳୀରୀ, ରମେଶ୍ବରୀ-ଇଗୁ ଅର୍ପି ଶିନ୍ଦାନାଗାନ ଲମ୍ବରୀତିଗୁ
ଏବଂ ପ୍ରସରିଲାଇଥିବା କ୍ଷାଲାଜୀବୀ ବିଶ୍ୱାସିତୀନାମିଲାଇଥିବା,
ଅବ୍ଲିବୀରୀ ମିଳି ଶର୍ମିତୀରୀ, ଏବଂ ଫ୍ରାନ୍ତିନାମିଲାଇଥିବା
ଜ୍ଞାନରୀଗାନ ମିଳିନଦା ମାତ୍ରି ଇଗୁ ନେହିଁ ଏବଂ ଗାନ୍ଧି-
ଶବ୍ଦରୀ ସାମନ୍ଦାଚିନ୍ତନରୀ ଏବଂ ସାକ୍ଷରୀପ୍ରୟାଳିନରୀ ଏବଂ ମନ-

ქალაქებად, რომელი აქუნდა მათ, ამისთვისცა
10 ვინებე, რამთა ეგრევე სახედ მითვე წესითა და
განგებითა დაემტკიცოს ჩემიცა ესე მონასტერი
და ეკლესიად ყოვლითავე საეკლესიოთა გა-
ნგებითა და რამთა ეგრეთვე მოქალაქობდენ
ნინამძღვარიცა ჩემისა მონასტრისად და მღ-
15 დელნიცა და სხუანიცა ძმანი ყოველნივე,
ვითარ-იგი არიან ზემო წსენებულისა მონას-
ტრისა პანაგიოსანი, ყოვლისაებრ წესისა მათ-
ისა, რომლისა აღწერად ამისსა შემდგომად გუ-
ეგულების.

20 ქამეთუ უკუეთუ იგინი, რომელნი ბუნებით
მოქალაქენი ყოფილ არიან ოდესმე და ჩუეულ-
ნი კეთილად ცხორებასა და აღზრდილნი ფუ-
ფუნებით, და ესევითარსა მას შორის დიდსა
და ერ-მრავალსა ქალაქსა დაჯერებულ არიან
25 ეგვიპტარსა მაშენებლისა მათისა დადებულსა
წესსა და უცომელად უპყრიეს მათდა მიცე-
მული იგი ნამარხევი დადებულისა მის წესისა
მათისამ, და ან ჩუენცა, ჭ მამანო და ძმანო,
რომელნი-ესე მკედრ ვართ მონასტერსა ამას

30 შინა, ვინაოთგან ქართველნი ვართ ნათესავით
მწენენი და მწედრობით აღზრდილნი და მარადის
ჭირვეულსა ცხორებასა ჩუეულნი ვიდრედა-იგი
სოფელსა შინა ვიყვენით, და მოსრულ ვართ
ან სამონაზუნოსა ამას წესსა და გარეგან ქა-
ლაქისა არს ყოფად ჩუენი, შორს სოფელთაგან
და მსოფლიოთა, ესევითარსა ამას შუენიერსა
უდაბნოსა, რომელი აღსავსე არს ყოვლითა
კეთილითა, ესე-იგი არს მრავლითა და ტკბ-
ილითა წყლითა და წყაროებითა და მათ შინა
40 მრავლითა და გულის-სათქმემლითა თევზითა

და თითო-სახითა ნაყოფითა, ხილითა და ვე-
ნაკებითა და მხლითა გუარად-გუარადითა და
სხვთა ყოვლითავე, რომელიცა უწმს მონაზონ-
თა, ვითარ უკუე არა უფროდესად თავს-ვიდგათ
და დავიმარხოთ წესი მცნებისა მის მათისა?
45

Էռլող դա շրջապատ է գրաւ բառի առաջ, –
բառի բառ բառ-ընդունության մեջ առաջ է գալիք, – դա շրջապատ

* აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), თბ., 1971. გვ. 61-129.

ჩუენ მიერ დაწესებულისა ამის წესისა პატიოსნისა მონასტრისა **სანაგისა უფართესი** და უმდიდრესი ცხორებად ვისმე ენებოს და უფროვის განსუენებად უნდეს, წარვიდენ კეთილად, ვინაცა პოონ გულის-თქუმად გულისა მათისა, რამეთუ არცა თუ ნეტართა მათ იწროო რახმე ცხორებად უქადაგებიეს, არამედ საშუალსა ოდენ გზასა სლვად.

ცნ უკუე ესე განგებისა სამონაზუნოვა მის წიგნისა, რომელი-ესე გამოვარჩიეთ და გარდავთარგმნეთ ზემო წარმონებულისა პატიოსნისა მონასტრისა **სანაგისა განგებისაგან** და სხუა მცირედი, რომელ ჩუენ შევსძინეთ და შთავწერეთ მას შინა, ესე არიან, რომელსა თვთოეულად გამოაჩინებენ თავსა ზედა გამოსახულნი ესე –

ქიცხუნი თავთანი

ქამეთუ ესე ესრეთ განვაწესეთ, რახთა ყოველმანვე გამომეძიებელმან რომლისავე პირისამან ჟამსა თვისა ადვილად პოონ საძიებელი თვისი.

ტავი ၆. ტუ ვითარსახედ აღიშენა, ანუ ვითართა მიერ საქმართა პატიოსანი ესე მონასტერი ქართველთად.

ტავი ၇. ტუ რაულნი ანუ ვითარსახენი შესანირავნი და ადგილნი მიეცნეს წმიდასა ამას ეკლესისა ჩემთაგან მონაგებთა და ძმისა ჩემისა **ცხაზისთაგან**, რომელ არიან მოძრავნი და უძრავნი და თვთძრვადნი.

ტავი ၈. ცხნაურებისათვს მონასტრისა ჩემისა ყოველთაგან სამეუფოთა და სამლდელთმთავროთა ხარკთა და მისაწდელთაგან გამოსავალთა.

ტავი ၉. ერთობისათვს და ზოგებით ცხორებისა ძმითა კრებულისათა და დაყენებისათვს მათისა მოსენაკეობისაგან და თავისა თვისისათვს საკუთრად რახესამე ზრუნვისა, გინა სენაკსა შინა თვისა საზრდელთა შემზადებისა.

ტავი 10. წინამდლურისათვს მონასტრისა, თუ ვითარ ჯერ-არს გამორჩევად და დამტკიცებად და თუ შემდგომად პირველისა ვითარ ჯერ-არს მეორისა დაყენებად მასვე სამსახურებელსა მონასტრისასა.

ტავი 11. ქავდენობისათვს მონაზონთავსა და რიცხვსა, რომელი დავაწესენით, რახთა არა დააკლდენ, არცა ამათგან საქმარი პურის ფასად გინა ძლუნად იძიოს, და თუ რავდენთად ჯერ-არს ამათგან მსახურად და წელისუფლად

დაყენებად, ანუ ვითარ-სახედ.

ტავი 12. შლდელთათვს უამის მწირველთა, თუ ვითარ ჯერ-არს გამორჩევად და დაყენებად მათი, ანუ თუ მსგეფისა შინა რავდენი დღე 5 ჯერ-არს, რახთა სასეფოდ უამი წირონ.

ტავი 13. ჩაბლისა დაგებისათვს და მსახურთა დუმილით და სიმშედით მსახურებისათვს.

ტავი 14. ჟესამოსელთათვს გინა სამოსლისა ფასისა, თუ ვითარ ჯერ-არს ანუ რომელსა 10 უამისა განყოფად, რახთა განუყოს წინამდლუ-არმან ძმათა.

ტავი 15. სამთავე მარხვათა სიწმიდით მარხვისათვს და მარადლე გლახაკთა ლუნისათვს ქველის საქმითა.

ტავი 16. ბლესასწაულისათვს წმიდისა 7 კლესისა ჩუენისა და სხუათათვს საუფლოთა დღესასწაულთა და საჩინოთა წმიდათა, რომელ ბრწყინვალედ აღესრულებოდით.

ტავი 17. ჟემკობისათვს და განათლებისა 20 წმიდისა ეკლესისა ჩუენისა სანთელთა მიერ და კანდელთა, თუ ვითარ ჯერ-არს ყოფად, და განკრძალულად ლოცვისათვს, ვითარმედ ჯერ-არს, რახთა გულს-მოდგინებით იქმნებოდის და მონიჩებით.

ტავი 18. ზითარმედ ჯერ-არს, რახთა ყოველთა დღეთა აღუვარებდენ ძმანი წინამდლუ-არსა გულის სიტყუათა და საქმეთა და ყოველსავე ბრალსა, რაღცა შეჭმითხუეოდის მათ.

ტავი 19. ყელთსაქმრისათვს და შრომისა და 30 ვითარმედ ჯერ-არს ყოვლადვე ფსალმონებად შრომასა შინა.

ტავი 20. ტმათათვს, რახთა არა განვიდოდიან, არცა იქცეოდიან გარეგან მონასტრისა თვისერ წინამდლურისა ბრძანებისა; და მათ-35 თვს, რომელი ორგულთაებრ მაჩუენებლობით ილოცვიდენ შორის კრებულისა.

ტავი 21. ყელისუფალთათვს მონასტრისათა, რომელ არიან კონომოსნი და აბარმადნი.

ტავი 22. შცნებად განკრძალვისათვს საჭურისთაგან, რომელ არიან ყუერულნი, და სხუათაგან, ჭაბუკთა ჰასაკითა.

ტავი 23. ცხნაურებისათვს მონასტრისა და თავისუფლად ყოფისა ყოველთაგან თვისთა ჩემთა, შორიელთა და მახლობელთა, და სხუათა 45 ვიეთგანცა, რახთა არავის აქუნდეს ზიარებად რავე რახთურთით.

ტავი 24. ზითარმედ, უკუეთუ ეცრუვოს წინამდლური ანუ სხუად ვინ წელისუფალი ალთქუმასა თვისსა და იპაროს მონასტრისად

გინა ეკლესიისად რამე, აღიყოფოს ეგევითარი იგი.

ტავი 6. შათთვეს, რომელი საქმარსა შემოსწირვენ მონასტერსა უამის საწირავად მიცვალებულთა მათთათვეს; სწავლად, თუ ვიეთგან ჯერ-არს მოლებად ესევითარისად.

ტავი 6C. ძალებად ძმათა მიმართ, თუ ვითარ ჯერ-არს ყოფად საქსენებელი ჩემი და მიცვალებულთა ჩემთად და აღაპისა ქმნად და საფასისა განყოფად დღესა წსენებისა ჩუენისა-სა და წყალობისა ყოფად გლახაკთა მიმართ.

ტავი 6D. ძიცვალებულთათვეს წინამდლურ-თა და ძმათა მონასტრისათა, თუ ვითარ ჯერ-არს წსენებად მათი წმიდითა უამის-წირვითა და ლოცვითა.

ტავი 6E. ცრა შესლვისათვეს მონასტრად ჩუენდა დედაკაცისა, არცა სადედოხსა მონასტრისა შენებად ოდესმე საზღვართა მისთა.

ტავი 6F. ცრა დაწესებისათვეს შინაგან მონასტერსა ჩუენსა პერძისა ხუცისა მონაზონისა და თუ რად არს მიზეზი ამისი.

ტავი 6G. ჩათესავთა და მსახურთა ჩუენთა ქართველთათვეს, რომელი წესა მონაზონებისასა მოვიდენ, თუ ვითარ ჯერ-არს შენწყარებად მათი მამასახლისისაგან და ძმათა, ანუ თუ მათ ვითარ უწმს ყოფად და მსახურებად კრებულისათა თანა.

ტავი 6H. ზოლარიას ქმნისათვეს და ანგარიშის ყოფისა კონომოსთა და სხუათა მსახურთახსა წინამდლურისაგან და წინამდლურისად ძმათაგან.

ტავი 6I. ყსენებისა ყოფისათვეს ზოგად მიცვალებულთა ყოველთა ძმათათვეს, რამთა დაუცადებელად იქსენებოდიან სულნი მიცვალებული ლოცვითა და უამის წირვითა.

ტავი 6J. შონასტერსა შინა სასნეულოხსა-თვეს; თუ ვითარ ჯერ-არს ფუფუნებით და განსუენებით მსახურებად მათი.

ტავი 6K. ტუ რავსათვეს აღშენებულ არიან ჩემ მიერ ქსენადოშნი, – რომელ არიან უცხოთა სადგურნი, – სტენიმახისია, შარმარისად და ურილონგისად, – და თუ ვითარ განიწესნეს იგინი.

ტავი 6L. ჩემ მიერ დადგინებულისათვეს პირველისა წინამდლურისა ჟრიგოლ ზანელისა; თუ ვითარ ჯერ-არს შემდგომად მიცვალებისა მისისა ყოფად წსენებად მისი ანუ რომელსა დღესა.

ტავი 6M. ძოყმეთათვეს დიაკონთა, თუ სადა იყვნენ, ანუ ვითარ განისწავლნენ და მერმელა

შევიდენ მონასტრად; და მღდელისათვეს, რომელი იყოს ჩიკოლნმიდას.

ტავი 6N. საკარგავისა არა მიცემისათვეს წინამდლურისაგან ძმათაგანსა, ანუ თუ სხუასა ვისმე, რამთა არა აქუნდეს წელმწიფებად არცა განიჭებად, არცა განსყიდად მონაგებთაგანი რად ეკლესიისათად.

ტავი 6O. ერთად დამარხვისათვეს წიგნისა ამის განსაგებელისა, რომელ არს ჟუჯარი წიბიკონისად, და თუ ვითარ ჯერ-არს წარკითხვად ამისი.

ხურთხეულ არს ტრისტე იმერთი ჩუენი ყოლადვე, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ცმინ.

ტავი 6P. ჟესანირავთათვეს, რომელი მიგვცემიან და დაგვმტკიცებიან ეკლესიისადა.

ა) სინმიდისა სამსახურებელთათვეს და ქატ-თა და ჯუართათვეს და ყოველთავე პატიოსან-თა სამკაულთათვეს, რომელი მიგვცემიან და დაგვმტკიცებიან და დაგვსხმან პირველ თქუმულსა ეკლესიასა და მონასტერსა ჩუენსა, და ეგრეთვე ოთხფერწოთათვეს და ყოვლისა ფერისა თვთო-სახეობისათვეს, რომელი მივსცენით წმიდასა ამას მონასტერსა.

ბ) ბა რომელი სხუად მივეცით პატიოსანსა და წმიდასა ეკლესიასა ჩუენსა.

გ) შივსცენ ჭიქისაცა ჭურჭელნი პატიოსანი.

დ) ითხფერწოთათვეს, რომელი მივსცენით მონასტერსა ჩუენსა.

ტავი 6Q. იქრობეჭედთათვეს, და სხუათა წიგნთათვეს, რომელი დაისხნეს სამეუფოსა ქალაქსა და უეტრინონს და სოფიანმიდას.

ა) იქრობეჭედთათვეს, რომელი დაცვულ არიან სამეუფოსა ქალაქსა დიდსა შინა ეკლესიასა.

ბ) იქრობეჭედთათვეს, რომელი დაისხნეს ნამარხევად მონასტერსა ჩუენსა.

გ) შოსაქსენებელი წიგნი და აპოტიქსი იქრობეჭედთა ჩუენთად და სხუათა სასამართლოთა ნაწერთად, რომელი ნამარხევად სხენან სოფიანმიდას.

ტავი 6R. ძამტკიცებისათვეს წესისა ამის განგებისა.

ტავი 6S. ცოლომეტთა საუფლოთა და სამთა სხუათა საჩინოთა დღესასწაულთათვეს, თუ ვითარ დღესასწაულობდენ.

ტავი ၂

**სიტყუად შესავალი აღშენებისათვს
წმიდისა ამის მონასტრისა**

1. ქამეთუ ნანდვლვე ჯერ-არს და სამართალ ზოგად ყოველთათვს ტრისტეანეთა მართლმადიდებელთა, რომელიც ნათელ-ღებულნი არიან სახელითა შამისათა და ტისათა და სულისა წმიდისათა, მარადის მოლოდებად ზოგადსა მას ყოველთა კაცთა აღსასრულსა და ზრუნვად დღისათვს სიკუდილისა მათისა სასოებითა მით მკუდრეთით აღდგომისათა და მოგონებად საშინელი იგი და შესაძრნუნებელი განკითხვად სამართალთა მათ სასჯელთა ტრისტეს იმრთისა და შაცხოვრისა ჩუენისათად და თითოეულისა ჩუენისა საქმეთა თვსთაებრ სამართლად მიგებად, რომლისათვსცა თანაგუაც ყოველთა ყოვლითა ძალითა ჩუენითა ამათ ესევითართათვს ზრუნვად და ღუნოლად, ვიდრელა ცხორებასა ამას შინა ვართ ყოფით, რათა ყოვლითა ძალითა ჩუენითა მოსწრაფებით ვიღუანოთ განრინებად საშინელთა მათგან საუკუნეთა სატანჯველთა და ცეცხლისა მისგან ჟეჰენისა და ჭმისა მისებრ და სწავლისა წმიდისა სახარებისა მიცემად აქა და მივასხებად იმრთისა საქსრისა კეთილისა თავთა თვსთათვს, რათა იყოს იგი იმრთისა მიმართ ვითარცა მცირედი ნუ რად მიზეზი მიცემული მისდა, რომლითა ლირს ვიქმნეთ მიმთხუევად მიუწდომელთა მათ კაცთ მოყუარებისა მისისა კეთილთა და ამით სახითა ქმნად ჩუენდა ყოვლადვე საქმეთა კეთილთა ძალისაებრ თითოეულსა, და ესრე სახედ მოღუანებითა მოგებად ჩუენდა ნაცვალად მამონავსა ამისგან სიცრუვისა მეგობართა საცნაურთა სახიერებით შემწყნარებელთა ჩუენთა მერმესა მას საუკუნესა (შდრ. ლკ. 16, 9), რათა ამის ყოვლისა ესრეთ ნარმართებითა მათ თანა მებრ ლირს ვიქმნეთ საღმრთოსა მას მკუდრობასა მიმთხუევითა ტრისტეს მიერ მოტევებასა ბრალთასა.

2. ქომლისათვსცა მე ჟრიგოლ, ზემო ჭსენებულმან სევასტოსმან და დიდმან დემესტიკოსმან, ფრიად ცოდვილმან და უღირსმან მონამან ტრისტემან, ვიხილე თავი ჩემი სიყრმით ჩემითგან და ვიდრე სიბერედმდე ამაოდ და ცარიელად ყოველთაგან საქმეთა კეთილთა, ოდენ ლირს-ქმნულად ჭეშმარიტსა და მართლმადიდებელსა ტრისტეანეთა სარწმუნოებასა ქართველთასა, რომელთა-იგი სწორად აქუს და

განუყოფელად მტკიცესა თანა სარწმუნოებასა და აღსარებასა ჭეშმარიტთა ბერძენთა ნათე-სავისასა. ძა დაღაცათუ წადიერებად მაქუნდა პირველითგან და განვიზრახევდ ცლმოსავა-ლეთსვე ყოფასა ჩემსა და ვიდრე წასავლეთს და მკუდრებადმდე აღშენებასა ეკლესისასა და მონასტრისასა სამარხოდ და განსასუენ-ებელად ბრალეულთა ძუალთა ჩემთა, გარნა მრავალთა მიერ ცოდვათა ჩემთა და ცვალები-საგან ამის სოფლისა საქმეთასა და ჩემისაგან საწუთოოდ ზრუნვათა შექცევისა და სიყუ-არულისაგან ვერ ღირს ვიქმენ აღსრულებად გულის ზრახვასა ჩემსა ვიდრე აქამომდე. 3. ქოლო ან, უამსა სიბერისა ჩემისასა, არა 15 თუ მე ჩემითა სიბრძნითა და მეცნიერებითა, გინა თუ გულისქმის-ყოფითა, არამედ უფროოდს-ლა აურაცხელითა და გამოუთქუმელითა კაცთ-მოყუარისა იმრთისა ჩუენისა სახიერებითა და მოწყალებით მოხედვითა ულირსსა ამას და 20 ყოვლად უნდოსა მონასა შისსა ზედა, მცირედ რამე განვითროთსვე საწუთოოდ ამის ზრუნ-ვათაგან და, მოვიქსენე რად დღე აღსასრულისა ჩემისაგ და წინამდებარე იგი საქმეთა ჩემთა მოსაგებელისა ზარი და შიში და, ვითარცა პირ-25 ველ ვთქუ, განვიცადე თავი ჩემი, რამეთუ ცუდ ვარ და ცარიელ ყოველთაგან საქმეთა იმრთი-სა სათნოთა, ამისთვე უკუე შევევედრე მე ჩემსა მას და ყოველთავე შეცოდებულთა სასოსა და შემდგომად იმრთისა შესავედრებელსა და მქა-30 ნელსა ტრისტეანეთასა, უმეტეს კურთხეულსა დედასა ტრისტეს იმრთისა ჩუენისასა მარადის ქალწულსა შარიამს, ყოვლად წმიდასა იმრ-თისმშობელსა, და მის თანა ზეშთა საკურვე-ლად დიდებულსა დიდსა მას წინამორბედსა 35 და ნათლის-მცემელსა ტრისტესა, ნაშობთა შორის დედათავსა უმეტეს უაღრესსა წმიდასა წოვანეს, და ეგრეთვე თავადსა მას ელვარედ მპრწყინვალესა მთავარ-მონამესა და თავსა ტრისტეს მარტკლთასა ახოვნად მოღუაწესა 40 წმიდასა ჟიორგის და ვყვენ ესენი წინამდლუარ ჩემდა ცხორებისა და მეოხად ტრისტეს მიმართ იმრთისა ჩუენისა დღესა მას განკითხვისასა ყოველთა თანა წმიდათა სათნოთა და საყუ-არელთა ტრისტესთა, და აღვამენენ ყოვლი-45 თა გულს-მოდგინებითა და დიდითა წარსაგე-ბელითა ეკლესიანი ტაძრად სამკუდრებელად დიდებისა ერთბამად სახელსა ზედა სამთა ამათ ზეშთა საკურველთასა პაროვანნი და დიდად შეენიერნი, ძალისაებრ ჩემისა და ქცეულები-

სა დაუდგრომელთა მათ და დაუმტკიცებელთა უამთა ამის საწუთოობებითა, თემსა შინა ფილიპ-უპოლისასა, მიღმართ სამხრით კერძო წევსა შინა ერთსა ფრიად მაგარსა, საზღვართა შინა სოფლისა მის, რომელსა ცეტრინონ ეწოდების, რომელი-იგი ზასილიკოსობად ჩინებულ არს.

4. ქომელიცა წმიდათა და თვთმპყრობელთა მეფეთა ჩუენთა თვსითა წმიდითა სარწმუნოთა და თაყუანის-საცემელითა ოქრო-ბეჭდებითა მოუნიჭებიეს ჩემდა ნაცვალად ჩემთა მათ მრავლითა სისხლითა სარწმუნოებით მსახურებათა, რომელი-ესე პასაკითგან სიყრმისა ჩემისახთ და ვიდრე სიბერედ ჩემდამდე არა-ოდეს უდებ ვიქმენ დათხევად სისხლთა ჩემთა და თვსითა ჩემთასა და მრავლისა მის ერისა ჩემისასა სათონ-ყოფისათვს მეფობისა მათისა, ვინააცა ვიბრძანე მსახურებად ცლმოსავლეთს გინა ზასავლეთს საპერძნეოისა სარგებელსა და მსახურებასა. სე, ნანდკლვე და ვიდრე ტყუელობათა შთავრდომადმდეცა თავით ჩემით და ჩემ თანა არა მცირედთა ნათესავთა ჩემთა წელსა წარმართთასა მიცემადმდე მიმსახურებია საპერძნეოისადა. ბა უკუეთუ ვთქუა, თუ მცირედნილა ვინ ჩუენგანნი მომქუდარ არიან სარეცელსა ზედა თვსისა მშვდობით, რომელნი არა წელთაგან საპერძნეოისა და ტელისა ცხორებისა მტერთახსა მახვლითა მომწყდარ არიან, არა ვტყუვი.

5. ქოლო ან რამეთუ ღირს მყო მე იმერთმან აღსრულებად გულის-თქუმასა გულისა ჩემისასა და განსრულდეს წმიდანი ესე ეკლესიანი გარე მოზღუდვილით მონასტრით და სენაკებითურთ ჩემთა მრავალთა საფასეთა წარგებითა. ქომლისათვს ვიკადრო და ვთქუა, ვითარმედ არავის სხესა მიერნინადმდე საქმრისა, გინა ვინაავე მონახუეჭისა ანუ თუ გლეხთა ჩემთა უსასყიდლოდ მოპაპრაკებითა რასავე მსახურებასა შინა, გინა ჭირვებითა მათითა ქმნილ არს შენებად წმიდისა ამის ეკლესისა და მონასტრისა ჩემისახ, არამედ ყოველივე მსოლოდ ჩემისაგან ნაქონებისა და სამართლად მონაგებისაგან ქმნილ არს.

ცავი ყ

ჟესაწირავთათვს და ძლუენთა და
ადგილთა, რომელნი მიეცნეს და
დაისხნეს ეკლესიასა ამას

5

1. შივეც უკუე და დაუმტკიცე წმიდასა ეკლესიასა ჩემსა მე, ქრისტ, ნებითა იმრთისათა სევასტოსმან და დიდმან დემესტიკოსმან ყოვლისა წასავალეთისამან, ძემან სულ-კურთხულისა ყაკურინისამან, ოქრობეჭდებითა ჩემდა მონიჭებულისაგან მონაგებისა და მამულისა ჩემისა, რომელიცა მაქუნდეს წელმწიფებით სრულითა და შეუძრავითა უფლებითა, ლოგისქმნილითა ოქრობეჭდებითა:

15 სირველად თავითგანვე თემსა ფილიპოპოლისასა ციხედ წოდებული სოფელი ცეტრინისაჲ, რომელი ზასილიკოსობად წოდებულ არს, სრულად ყოვლითა აგარაებითა თვსითა, ზანოვა აგარაკი, რომელსა შინა ან მონასტერი აღიშენა,

20 ცეტრინინი აგარად და
ზაჩქოვა აგარად,
ზობროლონგი აგარად,
ზობროსტანი აგარად,
ზოსინაჲ აგარად,
ზაშქოვა აგარად,
ზავოროვა აგარად.

25 სე ყოველნი თავიეთ ზღვრითა და სინორითა, და ყოვლითა სამართალითა და პირველითანვე ქონებულითა ნაქონებითა მათითა და შემოსავალითა მათდა ქმნილისა მისებრ პერიერეზმონისა.

30 2. გრეთვე მივეც დამოკიდებით მისასა ჩემი დიდი სოფელი სტენიმანი, ჩემ მიერ აგებულითა ორითავე ციხით მისითურთ და ეგრეთვე მსგავსად აგარაებითურთ:

35 ზიპინონით და
აგარახთ ყარბარენმიდითურთ, რომელი-იგი ფრენაკასა ახლავს, და სოხასტრებით მისით:
ჩიკოლნმიდით,

40 ზემოთ ზიორგინმიდითურთ და
ქუემოხთ, რომელი სოფელსა ახლავს, მითვე სახითა სრულებით თავისა ყოვლითავე პირველითგან გარე-შემოწერილითა ზღვრითა და ჩემ მიერ დადებულითა სინორითა შორის მისასა და მეორისა ციხისა ზოგინახსა.

45 3. შივეც კუალად ციხეცა ზანსკად ახალ-ციხითურთ ზრისით და სხვთა ყოვლითა სოფლებ-

ითა და აგარაებითა მისითა და პლანინაებითა და ყოვლითავე ზღვრითა და პირველითგანითა ნაქონებითა მისითა.

4. იგრეთვე მივეც **ტოფოლინონთა ურეტორად სახელ-დებული** სოფელი, რომელს ყელოვა ეწოდების, თავისა ყოვლითა შემოწერილებითა და ზღვრითა და ყოვლითა ნაქონებითა სრულებით.

5. შევცე მაგასვე ზემო ჭიერებულსა ეკლესიასა ჩემსა თემსა შინა **ზოლერონისასა ვანდასა შისინოპოლისასა** პრასტინი ჩემი ზაუნი თავისა ყოვლითა ზღვრითა და პირველითგანითა ნაქონებითა სრულებით. ზა ციხესა შისინოპოლისასა შიგნით ჩემ მიერ განძითა ნასყიდნი სასახლენი ადგილი და ჩემგანვე აღგებული სახლი მას შინა და ეგრეთვე ყმისა ჩემისა ზარდან პრონოიტისისა წელითა განძითა ჩემითა ნასყიდნი სახლი მასვე ციხესა შინა შისინოპოლისასა; და ციხესა გარეგნით მონასტერი **იორგინმიდისახ**, რომელი-იგი არს საპირისა მთის ძირსა, თავისა ვენაჯებითა და ყანებითა და მტილებითა და ყოვლითა სამართალითა და ნაქონებითა.

6. ზა მასვე თემსა შინა ვანდსა **სერითორისასა მივეც პრასტინი ჩემი სახელით შინა ზედა ნართაულით მიწით და ყანებით მისითურთ, ვითარ-იგი საპარადოდიკოსა პრახტიკონსა შინა სწერია.**

7. იგრეთვე **სერითორისა ციხესა შიგნით ავლინი, რომელი ცბაზს, ცხსართანის ძმასა, სიძესა ჩუენსა, ჰერნდა, მითვე ყოვლითა შენებულებითა და ნაქონებითა.**

8. ესე უკუე ყოველნი, რომელი სახელ-დებით ზემოთ სწერიან, მიმიცემიან ზემო ჭიერებულისა მონასტრისა ჩემისა ქართველთა ურთისმშობელისა **ურეტონისადა**, ვითა ზემო ვთქუ, თავიეთ ყოვლითავე ზღვრითა და პირველითგანვე ქონებულითა ჭამულებითა და სამართალითა და თავიეთ უღლებითა ყოვლითა და თესულებითა და ყოვლითა ალაგითა და შემოსავალითა.

9. სანატრელსა უკუე ძმასა ჩემსა ცბაზ მაგისტროსა ესრეთ დაეწესა ანდერძსა შინა მისსა, ვითარმედ: «სადაცა ინგოს ძმამან ჩემმან ქრისტ ალშენებად ეკლესიისა და საფლავისახ, მე მუნ დამმარხეთ». ზა სხუათა თანა საქმართა დაეწერა და დაეწესა ნანილად სულისა თვისისა თავისა სოფელი **პრილონგი** თემსა შინა სოლონიკისასა, რომელ არს საარხონდოსა სტე-

ფანიანისასა, რომელ-იგი აქუნდა მას პატიოსნითა და თაყუანის-საცემელითა სარწმუნოითა ოქრობეჭდითა მინიჭებულად მისდა ნაცვალად პრასტინთა მისთა, რომელი დაეტევნეს **ცნტილებისას.**

10. ზა კუალად ესეცა დაეწესა ანდერძსა შინა თვისა, ვითარმედ: «უკუეთუ ვერ ეწიფოს ძმასა ჩემსა შენებად ეკლესიისა და მონასტრისა, მაშა სადაცა დავიმარხო, მუნ მიეცეს ესე სოფელი».

11. ზარნა, ვინამთვან წინამდლურებითა იმრთისამთა, ალიშენა ჩემ მიერ ზემო თქუმული ესე ეკლესია და მონასტერი ჩემი, ვყავთ ჩუენ ბრძანებისაებრ მისისა და მოვიყვანე ლარნაკი

15 მისი აქა, მონასტერსა და ეკლესიასა სამარხოსა ჩემსა, და მუნ დავდევით საფლავსა შინა გუამი მისი. ზა ვითარ-იგი ჯერ-იყო და შეჰვანდა ჩემისა მისგან დიდისა და მრავლისა შეურვებისა და მწურვალედ შემწუველისა სურვილისა,

20 რომელი მაქუნდა მისა მიმართ, ეგრეთ პატივით და ლირსებით ვიღუაწეთ იგი და განვანესეთ ყოველივე სარგებელი სულისა მისისა და ფრიადიცა გასაყოფლი მივეც წელითა ჩემითა საქმართა და საფასეთა ჩემთაგან, პირველ, 25 ოდეს-იგი ვიყავ მე **ტეოდოსოპოლისს**, და ანცა კუალად, ბასავლეთს მოსლვასა ჩემსა.

12. ცნ უკუე, ვითარცა ვთქუ, სოფელი იგი **პრილონგი**, მისისაებრ განწესებისა, მივეცით მონასტერსა ჩუენსა და სამარხოსა მისისა და

30 განვანესეთ ყოფად მისთვის ლოცვისა მრავლისა და უამის წირვისა, ვითარ ესერა ქუემოხთ სწერია. შეგვცემიერ უკუე სოფელი ესე **პრილონგი** მონასტრისა ჩუენისადა თავისა ძუელითა ციხებითა და აგარაებითა, ქსენადოშებითა და 35 ყოვლითა ზღვრითა მისითა და პირველითგანითა ნაქონებითა და სამართალითა მისითა.

13. იგრეთვე დაეწერა ანდერძსა შინა თვისა სანატრელსა ძმასა ჩემსა და მოეცა ლეღატად ნანილად ჩემდა ეგრევე სახედ იქრობეჭდითა 40 მისდა მინიჭებულთა ადგილთაგან სოფელი **ხრავიკი ხესაროპოლიტურთ**, რომელ არს თემსა სერაბასა, ვანდსა შინა **ზავალტონისასა** სათევზითა ტბითა მისითა და აგარამთა, რომელსა ცლავავა ეწოდების, და მე ვიქმენ უფ-45 ალ და წელმწიფე ამის სოფლისა და ციხისა. ზარნა მე პირველად სურვილისათვის მისისა და მონლედ სიყუარულისა და მერმე რამეთუ არარად მაქუნდა ხუეჭად ამის სოფლისა საქმართათვის, რამეთუ ნებითა იმრთისამთა და ბედი-

თა წმიდათა და თვეთმპერობელთა მეფეთახთა და ჩემითა მოსწრაფებითა და მოქირვებითა არარა მაკლდა, არცა მაქუნდა ხუჭად რაღ-სავე, რომლისათვეცა პირველ თქუმული ესე სოფელი და ციხე, რომელი ლელატად ჩემდა დაეტევა მას, განვაწესე და მივეც კუალად იგ-იცა ამასავე ზემო ჭისენებულსა ეკლესიასა და მონასტერსა ჩემსა და სამარხოსა მისას.

14. ცე უკუ სახელ-დებით ზემო თქუმულნი ესე ციხენი და სოფელი და პრასტინი ყოვ-ელნივე, რომელნიცა შევწირენით და მივსცენ-ით წმიდასა ეკლესიასა ჩუენსა და მონასტერსა ქართველთასა სეტრინონისასა, ყოველთავე სახელები პატიოსანსა შინა და სარწმუნოსა სიმტკიცისა ოქრობეჭედსა, რომელი შეიქმნა ამის მონასტრისათვს, თითოეულად წერილ არიან.

15. ძრავალი უკუ სხუაცა საქმარი გან-ენესა პირველ თქუმულსა სანატრელსა ძმა-სა ჩემსა მონაგებთა და საფასეთა მისთაგან ჯელითა ჩემითა მიცემად სულისათვს მისისა, ესე-იგი არს განძისაგან, ვეცხლის ჭურჭელთ-აგან, შესამოსელთაგან და სხვა ყოვლისავე საქმისაგან და ეგრეთვე ოთხფერზთაგან და ყოვლისაგანვე პასაკისა პირთავსა, რამეთუ ნებითა იმრთისათა მდიდარი იყო და აქუნდა ყოველივე საქმარი უკლებად.

16. სე და ჩემიცა არა მცირედი აქუნდა სა-ფასე მის თანა ნამარხევად დადებული, რო-მელიმე ჯელითა ჩემითა მიცემული მისდა და სხუა რომელიმე, შემდგომად ცლმოსავალეთს განმგებელად წარსლვისა ჩემისა ცეოდოსოპ-ოლისს, ჩემთა პრასტინთა ყოველსავე შემო-სავალსა ამათ წელთასა ბრძანებითავე ჩემითა აიღებდა და დაპარხმარხიდა, რამეთუ არავინ მე-სუა მე სხუად ვინ უფროს მისისა მისანდობელი სულისათვს ჩემისა, ვითარ-იგი არცა მას ვინ ესუა უფროს ჩემსა მისთვს მისანდობელი. ზა რომელი-იგი იყო ჩემი მის თანა, ყოველივე ძეუ-ლი განძი იყო: რომანატი, მონამახატი, დუკატი, ექუსთავედი და მიხაილატი, რომლისაგან, ცლ-მოსავალეთით რაა მოვიქეც შემდგომად ძმისა ჩემისა დალევნისა, არცა ერთი რაა ვპოვე ვინა თუ ჩემისაგან, ვინა თუ მისისაგან საფასისა, რომელიცა მას სულისა თვისისათვს დაენესა მიცემად.

17. ქალო ზემო ჭისენებულნი ეგე მონაგებნი ყოველნი, რომელთაცა სახელები თვთოეუ-ლად ზემოვთ სწერიან, ესრე სახედ მიგვცე-

მიან სრულებით ყოვლითა საქმრითა მათითა, სეფითა უღლებითა და ეგრეთვე გლეხებითა, მთითა და ბარითა, ტყითა და პლანინაებითა და საძოვრითა ადგილებითა, ვენავებითა და 5 ხილნარებითა, წისქვლებითა და სახლებითა, ზღვთა და ჭმელითა, ციხებითა და ყოვლითა შენებულებითა მათითა და ყოვლითა ქონიერე-ბითა მათითა და შემოსავალითა შინა და გარე, ძრვადითა და უძრავითა და თვთმოძრავითა ყოვლითა.

18. ცმას თანა შევწირენით და მივსცენით ქატინი პატიოსანნი მრავალნი და ზუარნი საუ-ფლონი, სავსენი ნაწილითა ტელისა ცხორე-ბისახთა და სახარებანიცა ქართულნი და ბერ-ძეულნი. ცმათგანნი უმრავლესნი დიდძალითა ნარსაგებელითა შემკულ არიან თუალებითა პატიოსნითა და მარგალიტითა, მინახთა და შემეფტონითა. ზა სხუა სამკაული მრავალი ფერი ეკლესიისაც, რომელ არიან ბარძიმ-ფეშხ-ზმები და საცეცხურები ვეცხლისაც და ქორ-აკანდელნი ვეცხლისანი და ჭიქანი ბრწყინ-ვალედ პატიოსანნი და ეგრეთვე სამეუფონი შესამოსელნი პატიოსანნი თვთ მებრ წმიდისა მეფისა კირუ ცლექსისა ხომინიანოსისა, თვისისა 20 წმიდისა ტანისაგან წარმოცემული ჩემდა უამ-სა მას, ოდეს-იგი იმერთმან დიდითა ძალითა ტვისითა და შენევნითა ძლიერისა ძარჯული-სა ტვისისახთა და ეგრევე მსგავსად ბედითა წმიდისა და თვთმპერობელისა მეფისა ჩუენი-სახთა, დაამწუა ჩუენ მიერ უშჯულოდ და ფრი-ად მძლავრი მტერი ტრისტეანეთა და საბერ-ძენეთისაც ნათესავი პენინაგთაც, რომელთაცა ძლეულებად და მოსრვაც წიგნითა აღწერად ვერ ძალ-მიც, რომელთასა ვჰგონებ, რომელ 35 შემდგომად ალსრულებისა ჩემისა მრავალთა შინა უამთა იქსენებოდის მაშინ ყოფილი იგი იმრთისა მიერ საკურველებაც.

19. ეგრეთვე იგიცა შესამოსლები მივეც, რო-მელ, ოდეს კუმანთა ტყუებისაგან გამომიქსნა 40 იმერთმან წყალობითა ტვისითა, წარმოეცნეს ჩემდა წმიდასა მეფესა და ძლიერისა სევასტოკ-რატორსა, ძმასა მეფობისა მისისასა.

20. ძივსცენით კუალად სხუანიცა სამოსელ-ნი უკერველნი დიდფასისანი და სხუანიცა ქატინი ფიცრისანი, ოქროპეტალოვთა და წამ-ლითა შუენიერად დაწერილნი, საქმარად და 45 სამკაულად ეკლესიისა და ეგრეთვე საკანდლე-ნი რვალისანი ჯაჭუებითურთ და სასანთლენი კელაპტარნი მრავალნი.

21. ბა ამათ ყოველთა საზომი და სახე ამისასა შემდგომად წიგნსა ამას შინა წულილ-წულილად ქუემო შთაგვერია, რომელიცა მიგვცემიან წმიდისა ეკლესიისა ჩუენისადა.

ტავი 7.

ზენაურად ყოფისათვს მონასტრისა ჩუენისა ყოვლისაგანვე სახისა სახარეოსა და მსახურებისა

1. ჟემდგომად ყოვლისა ამის განვაწესე წმიდა ეკლესიად ჩემი და სამოლუანეო სენაკები და უდაბნო ესე და მონასტერი საკრებულო ყოფად თვინიერ ყოვლისა მსახურებისა, სამეუფოვნება და სამთავროება, ყოვლითა ამით ზედა წერილით მონაგებითურთ, რომელი დაგვიწერიეს და მიგვცემიეს ამის მონასტრისადა, ზემავალითა და ქუემდებარითა და თვითმავალითა ყოვლითა, რათა იყოს თავისუფალ ყოვლითურთ, აზნაურ და თვთქელმწიფე, თვთმფლობელ და დაუმონებელ და რასავე ხარკსა ქუეშე შეუვდრომელ: სამეუფოვნება და საპატრიაქოსა, სამეტროპოლიტოსა და საეპისკოპოსოსა და სამამასახლისოსა ყოველსა.

2. ბა უფროვსლა მიტროპოლიტისაგან ფილიპოპოლელთავსა არს აზნაურ და შეუვალ მიმუნადმდე, ვიდრე არცადა თუ კუერექსა შინა იქსენებოდის სახელი მისი, გარნა ამას ხოლო იტყოდიან, ვითარმედ: «მოიქსენენ, იფალო, ყოველნი ეპისკოპოსნი მართლმადიდებელნი» და შემდგომი ამისი.

3. ბა ეგრეთვე ყოველთაგან მთავართა და ქელმწიფეთა მსოფლიოთა არს თავისუფალ მონასტერი ჩემი, დიდთაგან და ვიდრე მიმცირეთადმდე, ვითარ-იგი სარწმუნოთა მიერ სამეუფოთა ოქრობეჭედთა არს დამტკიცებულ ესე ყოველი.

ტავი 8

ზოგად მცხორებელთათვს კრებულისა ძმათა და განკუნებისათვს მათისა მოსენაკეობისაგან

1. ჩემითა იმრთისამთა, განწესებისაებრ წმიდათა პირველთა მამათავსა, ვინებე მეცა, უნდომან და ულირსმან მონამან ზრისტესმან წრიგოლ, ყოფად მონასტრისა ჩემისა და მას შინა დამკედრებულთა ძმათა, რათა იყვნენ ყოველნი იგი ზოგად მცხორებელ ერთობით,

წინამძღვარიცა და ძმანიცა; ბრძენმცა არიან და გულისწმის-მყოფელ საღმრთოთაცა საქმეთა შინა და კაცობრივთა ერთ-გულ და ერთ-სიტყუა ყოვლით კერძო მყუდროსა მას შინა და დაწყნარებულსა ცხორებასა.

5 2. ბა იყავნ ტაბლად მათი საზოგადო და საერთადო, რამეთუ არა მნებავს რამთურთით, რამთა ორი გუარი პური, გინა საჭმელი ანუ სხუა რამეთ სანოვაგეთაგანი შეიქმნებოდის, ანუ

10 თუ ორი გუარი ღვნოვ იწდეოდის, რამეთუ სა-დაცა ზოგად მცხორებელნი იყვნენ, არა ჯერ-არს, რამთა ერთი მეორისა უმჯობესთა საზრდელთა და სასუმელთა იქუმევდეს, არცალა თვთ მებრ მამასახლისი, რამეთუ უფროვსლა 15 მისა ჯერ-არს ქონებად უმეტესისა სიმდაბლისა და წესიერებისა, რამთა ესრეთ შეუძლოს მან სხუათა მათ დამჭირვად და პყრობად გან-წესებულსა ამას ქუეშე.

3. ზენაურებ ამისგანცა, რომელ არს საკუთრად თავისისა თვისისათვს ალაგისა რამსამებულობა ძმისად, ანუ თუ ნაშრომისა, ანუ ოთხფერვისა მოგებად, ანუ სენაკთა შინა მათთა რამსაცა დამარხვად, რამეთუ ამას ყოველსა გარე განვსდევნით – მარტოდ ჭამასა და სუ-

25 მასა ფარულად გინა ცხადად, გინა თუ სხუასა თანა. ქამეთუ რომელი ამას იქმოდის, იგი წინა-ალუდებების ალთქუმასა მას და მცნებასა, რომელი-იგი წინაშე იმრთისა და კაცთა არა კაცთა, არამედ ანგელოზთა აღუნერიეს ცათა 30 შინა, რომლისათვს სიტყვისა მიცემად მიგუებადების წინაშე საშინელთა საყდართა ზრისტესთა.

4. ეგრეთვე არცა სადუღარისა ჭურჭლი-სა ჯერ-არს ქონებად, არცა წუენისა ქმნად, 35 გინა კიდევნად ტაბლისა შემზადებად, ანუ თუ მოღებად რამსამე საზიაროსა მას ტრაპეზისა და მუნ შეჭმად, რამთა არა პატიოსნისა ტაძრისა წილ და სამოციქულოება ტაბლისა საფარდული იქმნას ადგილი ესე.

40 5. ქოლო უკუეთუ უძლურებისათვს, გინა სიპერესა დიდსა მინებისა მიზეზითა ნუგე-შინის-ცემად ჭმდეს ვისიმე, ჯერ-არს, გარნა კნინოდენ.

6. ქოლო უკუეთუ მთავართაგანი ვინ, გინა 45 თუ შუებულად ცხორებულთად მოსრულ იყოს მონაზონებად და ესევითარნი იგი მსახურისა გინა მოწვისა საკუთრად დადგინდებასა ინუკე-ვდენ, არა ვსცემთ მიშუებასა. ქამეთუ უკუე-თუ მიუშუას ვინ და ადგილ-სცეს მათ, არა

ხოლო თუ უსწორებლობად და განყოფილებად შეიქმნების ამის მიერ შორის ძმათა და საზიაროსა მის ცხორებისა წესისა შეცვალებად, არამედ დიდიცა სავნებელი და ახალ-სახეობად არა სულიერი ოდენ შორის შემოვალს, არამედ მონაგებთაცა ადგილისათა სარგებელისა წილ სავნებელი ფრიადი შეემთხვოს და ევნოს მას შინა მყოფთა მათ თვთრჩულობითა მით და შეძინების-მოყუარებითა. ქამეთუ განთვესებით საკუთრად წესისა ძიებითა ზოგად საცხორებელსა მას წესისა და საქმესა უწესოებად და ორგულებად შესცვალებენ და, — რათა ესრეთცა ვთქუა, ვითარმედ, — საწმარსა მას უწმრად გამოაჩინებენ თავებლობით. რამედ უფროვასლა თანა-აც ესევითართა მათ, რათა იმრთის მოშიშებით და სიბრძნით სხუათაცა მსახურებისა განგებად თავს-იდვან და არა რათა საჭამადთა და სასუამადთა სენაკთა შინა თვესთა დაპმარხვიდენ და გინა ცხადად, გინა ფარულად ჭამად გული უთქუმიდეს, რამეთუ ამას ყოველსა გარე-განვაშორებთ ქონებად ვისამე.

7. Ծა არა გუნებავს, რათა ძმათა საწმარი რამე აქუნდეს განთვებულად, ცხადად გინა ფარულად, დიდი გინა მცირე, არცა სხუათა-გან მოღებად რადასამე, გინა მიცემად ვისამე ქველის საქმედ, დაღაცათუ გლახაკცა იყოს. Ծა ნუმცა ვინ არს უმეცარ ესევითართა, ვითარმედ არა საქებელ არიან, რამეთუ საეშმაკო არს ესე და გარეგან შჯულისა, და კანონისა მის მოძლურებისა დამჩსნელ.

8. ქამეთუ ოდესლა-იგი არავის აქუნდეს ჭულმწიფებად თავისია თვესისა უფლებად, ვითარ უკუე უუფლოს სხესა საწმართა ვითარცა თვესთა? და რომელსა-იგი თვესთაგან საწმართა ყოველთა ეჯმნას, ვითარ განაგებდეს სხესასა მას და ვითარცა თვესა მისცემდეს მოქენეთა მათ?

9. ქამეთუ რომელსა თავიცა თვესი უარ-ეყოს ერთ გზის და ნებაცცა და სიმართლისადა იყოს დამორჩულ და მერმე თავ-მოთნებით განაგებდეს რასმე, რასამცა სხუასა იქმოდა ეგევითარი თვინიერ, რამეთუ სიმართლესა განეყენების და მონა ცოდვისა ჰყოფს თავსა თვესა?

10. Ծა რამცა უკუე სასყიდელი მისცა ზრისტემან ესევითარსა მას, რომელი სიმართლესა თვესა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა იმრთისასა არა დაემორჩილოს?! ქინა რომელიმცა საქმე წყალობისა, გინა უცხოთ მოყუარებისა იყო ესე, რაუამს-იგი არცა თუ მცირედი ზღვევად თავს-იდვას ვინ, არამედ ნაცვალად

მისასა, რომელი-იგი გლახაკსა მისცა, სხუასა საწმარსა ითხოვდეს წინამძღვრისაგან და ძუელისა წილ ახალსა ინებებდეს და უწმრისა წილ საწმარსა ბოროტად მოვაჭრებითა?

- 5 11. ზითარ უკუე არა ცხად არს, ვითარმედ იჭირვი შენ, რომელი-ეგე ამას ჰყოფ, არა თუ სტუმართ მოყუარეობისათვს, გინა გლახაკთ მოწყალებისა, არამედ საფარდულისა შეძინებითა და ანგარიერებითა, ოდესლა-იგი მათსა მას ზღვევასა რეცა ლმობიერად იჩქურებ და სიცივისა და სიშიშულისა თავს-დებად ჰმაჩუნებლობ სიყუარულისათვს მოყუსისა, რათამცა ესრე სახედ არა მიემთხვე მეცნიერებით დასჯილებასა?
- 10 12. ჯერ-არს უკუე და სამართალ განკრძალვად ყოველთა და უფროვასლა წინამძღვრისა სწავლათა შედგომად და იგი ოდენ ცნობად შჯულად და მცნებად და საღმრთოდ ბრძანებად, რომელი-რად მან უბრძანოს, და არა შთავრდომად რეცა გონება-ტკბილობით მპარვობასა და არა უმეცრებად, ვითარმედ ზიარი არს და ზოგადი ყოველთათვს უცხოთ მოყუარებად იგი და ქველის საქმე, რომელი იქმნების მნეთა მიერ და განმგეთა ეკლესიისათა.
- 15 13. ცნ უკუე რომელი წესისა ამას ზედა არა დაადგრეს, არამედ უმეტესისა რასმე ჭელ-ჰი-ოფდეს და ზეციერსა მას მორჩილებასა ზაკულებით აღაშფოთებდეს, უკუეთუ არა ინებოს განმართებად თავისია თვესისა და მოსლვად სიმართლესა, ეგევითარი იგი, ვითარცა ჭულული შვილებისაგან, უცხოდ შეირაცხენ ძმობისა ამისგან და იჯმენინ და განვარდინ საღმრთოვასა ამისგან სამკუდრებელისა.
- 20 30 35

ცავი 7

ჩინამძღვრისათვს მონასტრისა, ვითარ ჯერ-არს გამორჩევად და დამტკიცებად, ანუ შემდგომად პირველისა წინამძღვრისა ვითარ ჯერ-არს მეორისა დაყენებად მასვე მსახურებასა მონასტრისასა

- 40 1. სეშმარიტად უკუე და სამართლად პირველ ყოვლისა წინა მდებარეთა მათ განწესებათავსა ჯერ-არს წინამძღვრისა ძმათა მონასტრისათა ყოფად ურჩეულესი და უფრო უწესიერესი, რომელი უმეტეს ყოვლისა სასწრაფო არს ჩუენდა ფრიად და რომლისათვს ყოველი მოგონებად და გულს-მოდგინებად ჩუენი აღვძართ და განვიკითხეთ ურთიერთარს გამოცნობით და ესე

ვპოვეთ წრფელი და ყოვლისა შფოთისაგან თავისუფალი გზახ: რამთა ვიდრე მე, მაშენებელი ზემო ჭისენებულისა მის მონასტრისა, ცოცხალ ვიყო, რომელიცა მე დავაწესო წინამძღვრად მონასტრისა, იგი იყავნ, და უკუეთუ დაადგრეს წესიერად და სიწრფოებით განწესებულისა ამისებრ მცნებისა, ეგოს იგი წინამძღვრობასა მას შინა ვიდრე დღედმდე აღსასრულისა მისისა.

2. ქოლო შემდგომად მისსა დაყენებადი იგი, წესისაებრ უამისა, წინამძღვარი უამსა მიცვალებისა მისისასა მანვე პირველმან გამოარჩიოს მეორედ წინამძღვრად ყოფადი იგი მწყემსად ძმათა, გარნა არა თვესებისა, გინა მეგობრობისა მიზეზითა, არამედ ძმათა ყოველთა წამებითა და დამტკიცებითა ყოს, და რომელი-იგი შემდლებელ იყოს უამსა მას შინა და ურჩეულესი, უფროს ყოველთა გულისჯის-მყოფელი და თუალ-უხუავი.

3. ქოლო მისდა ესრე ჯერ-არს ქონებად წელმწიფებისა წელთ-დებულისა მის მამობისასა, რომელი-იგი ძმათა წინამძღვარ ყოფად იყოს, რამთა არა იყოს ნეფსით თვესით მოსწრავე წოდებასა მას, არამედ, ვითარცა ზემო ვთქუ, გამორჩევასა მას და ბრძანებასა მოელოდის ზედამდგომელისასა, რამეთუ ესრე მწებავს ყოფად ყოველთა მათ, უფროსსლა, რამთა ესევითარი იგი წელ-ყოფად ესრე სახედ ყონ, გარნა არა თვესებრ წებისა გინა დაჯერებისა აღსრულებადისა მის წინამძღვრისა.

4. ქოლო შემდგომად ამიერ განსლვისა პირველისა მის წინამძღვრისა მერმელა აქუნდეს მეორესა მას წელმწიფებად მთავრობისაა მის თანა-განზრახვითა მოღუანეთა და წელისუფალთა მონასტრისათა და რომელი-იგი მოურნე სულისა მიცვალებულისაა მის იყვნენ.

5. ჟუალად ამასცა ვიტყვ: შემდგომად მიცვალებულისა მის წინამძღვრისა, რომელი ჩემ მიერ გამორჩეულ და დაწესებულ იყოს წინამძღვრად, უკუეთუ ესრეთ რამე დახუდეს, რომელ ანასდეულად მიიცვალოს და ვერ ეწიფოს ესრეთ განგებად და დაყენებად ვისამე წინამძღვრად სამწყსოსა მის, მაშინ უკუე გამორჩევითა და გამოძიებითა უმჯობესთა და მოღუანეთა და მეცნიერთა ძმათა და სულისა მოურავთამთა დაინესოს ძმათაგანი წინამძღვრად. ზა ესე ჟუალად წესისაებრ პირველ ჩემ მიერ განჩინებულისა, რომელი ვთქუთ ახლად დაყენებისათვს წინამძღვრისა. ზა ახლად

დადგინებული იგი დგეს და ეგოს ეგრევე სახედ, ვითარმცა მიცვალებულისა მისგან იყო გამორჩეულ და დადგინებულ.

6. ქოლო დადგინებასა და წარმართებასა

- 5 მას წინამძღვრისასა ესრეთ განვაგებთ, რამთა მიიცვალებოდის რად პირველი წინამძღვარი, ესე იგი არს, უფლისა რად ვიდოდის, ვიდრელა ჯერეთ იყოს-და იგი ცხორებასა ამას, შემოკრიბნეს ძმანი ყოველნი ერთად და წარმოადგინოს, რომელი-იგი შემდგომად მისსა წინამძღვარ ყოფად იყოს, და ამცნოს მას დამარცხად ყოველივე ჩუენ მიერ პირველ განსაზღვრებულისა მის განგებისა წესი, რამთა მას ზედა მოქალაქობდეს, და არა აქუნდეს წელმწიფება თავით თვესით განგებად რასესამე.

7. ზა მერმე შემდგომად დაფლვისა მიცვალებულისა მის მესამესა დღესა ესე ჯერარს ყოფად ახლისა მის წინამძღვრისა: რამთა აღასრულონ ღამის თევად და პანაშკდი

- 20 და სამხრად, აღასრულონ რად საღმრთოო საიდუმლოო, წინაშე წმიდისა საკურთხეველისა დაადგინონ და ძმათა ყოველთა წესისაებრ თვთოეულმან ყოველმან მუკლნი მოუდრიკნეს და ამბორს-უყონ და მერმელა, შემდგომად ამისა, განმხიარულებულნი ერთბამად ყოველნი ტრაპეზად იწოდნენ უფლისა მიერ და უხუაბით ტაბლად დაეგოს და ჰმადლობდენ იმერთსა.

8. ქომლისათვსცა ვაფუცებ და ამასვე ვეტყვ პირველსა მას წინამძღვარსა და შემდგომთა

- 30 მისთა, რამთა წარმართებულად და სიწრფოებით ჰმწყსიდეს სულიერსა მას სამწყსოსა და სიმართლით იქცეოდის ძმათა მიმართ და თავადისა ზრისტეს წესუება მიერ იფლისა ჩუენისა, თუალ-უხუავისა ზის, განმკითხველისა გულთა და თირკუმელთავსა და განმკუეთელისა უფროს ყოვლისა მახვლისა ორპირისა, რომელი ვიდრე განსაყოფელადმდე სამშკნველისა და ნახევართა მიინევის და განპევლის და მიაგებს თვთოეულსა საქმეთაებრ(გამც.2,23; 40 ებრ.4,12); და რამთა არა-რად უღირსებით და სავნებელად წმიდასა მას ზედა სამწყსოსა ძმობისასა განიზრახოს, რომელთათვს არცა ერთი რა შრომად გინა ჭირი თავს-უც, არცა თვესითა შრომითა მოუგიეს, ვითარ-იგი დიდისა მოციქულისა პავლესებრ ჯერ-არს თქუმად განკანონებით, ვითარმედ: რომელი-იგი არა იქმოდის, ნუცალა ჭამნ!(ითეს.3,10). ცმისთვს რასაცა იქმოდის, ესრეთმცა ჰყოფს, ვითარცა წინაშე თუალთა ზისა იმრთისათა სახილველად მისა.

9. Ծա მის თანა ყოველნი ესრეთვე იქმოდინ წესსა მას და განგებასა თვისსა მართლად და უბინოდ, რამეთუ კმა არს მათდა მადლი ესე, რამეთუ რომელსა შინა არა დაშურეს, სხუა-თა შრომილსა და ნაოფლავსა შინა იშუებენ, რომელი-იგი სხუათა დიდითა მოსწრაფებითა და მრავლითა ღუაწლითა და რუდუნებითა შე-მოუკრებიეს, რომელსა იგინი ხოლო იცნობენ, რომელთა გამოცდილებით უწყიან. Ծა ამის ყოვლისა უშრომელად და თვინიერ ზღვევისა მშუებელ და მქმარებელ იქმნეს! ტმისთვის თანა-აც, რახთა მარადის იმერთსა ჰმადლობდენ ჯერისაებრ და ჩუენ გუაქსენებდენ კეთილად, ვითარცა მიზეზსა ქმნულთა მათდა ესევითარ-თა მათ კეთილთასა.

10. Ծა ვითარმცა უკუე არა სამართლად თა-ნა-ედვა ყოველსავე სიმართლით მავალსა ყოვ-ელსა შინა ცხორებასა მისსა მადლობად ძეგ-ნელისა და იმრთისა ჩუენისა, რომელსა-იგი არცა თუ მცირედ რახთამე დამაშურალ არს რჩეულისა ამის და ნუყიერისა ადგილისა ძიე-ბასა! ჩუენ ვართ უკუე, რომელთა თავს-ვიდე-ვით ესევითარი ზრუნვაა ზე და ქუე სლვითა ჩუენითა და ყოვლისავე ადგილისა მონაგებთა ჩუენთახსა მიმოხილვითა და გამოკითხვითა და განსასუენებელისა ძიებითა სამკდრებე-ლად ძმათა, რომლისა უფროოს უმჯობესი და შემსგავსებული ვერსადა ვპოვეთ.

11. Ծა ამან ესოდენმან ჩუენმან საქმისა ამის თანა-შემწეობამან ესრე სახედ ერთად შეკ-რებულსა ამას კეთილთა სიმრავლესა მიმამთხ-ვნა ჩუენ, რომელ არს პირველად სადგური ესე ყოვლითურთ შეუნიერი და განსასუენებელი და აღვსებული მხიარულებითა და სიტკბოებითა. Ծა არა ესე ხოლო, არამედ ყოველთა საქმართა უხუებით და უნენებელად ქონებითა, რომელსა შინა ყოველივე საქმარი სულიერი და ჭორციე-ლი ურთიერთას შეზავებულად აქეს.

12. ქომლისათვის მინდობილ ვარ თქუმად, ვითარმედ მსგავს არს ესე ძალისაებრ სამოხს-ისა იმრთისა და პირველისა მის კაცისა საშუე-ბელისა, რამეთუ უხუად აქეს და უჭირველად და უზრუნველად ყოველი საშუებელი მას შინა დამკდრებულთა მათ, უფროოსლა ოდეს ვინ შეუნიერებასა ეკლესიისასა მიხედნეს და სიკე-თესა სამკაულთა და შესამოსელთა მისთასა და მას შინა სულნელებასა მადლითა სულისათა აღსავსესა და ქმა-ტკბილობასა მას გაღობისა ფსალმუნთახსა და სულთა სარგებელსა მას წე-

სიერებასა და სამუჯოოხსა მის გზისა სასუფ-ეველისა ჩუენებასა და სხუასა მას ყოველსა მადლითა იმრთისათა შემკობილებასა.

13. ცნ უკუე ამის ყოვლისა ესრეთ უნაკლუ-ლოდ ყოვითა და ყოვლისა კეთილისა უშრომე-ლად პოვნითა ვითარ არა უზრუნველად და სიხარულით ცხონდებოდის ყოველი, რომელი აქა მკვდრობასა ლირს იქმნას და მარტივითა გულის-სიტყვთა უღელვოდ ჰმართებდეს ნავ-სა თვისსა და ნუყნარებულსა ამას შინა ჰაერსა, მსგავსად საყდართა იმრთისათა მხილველისა მის წინანარმეტყუელისა(შდრ. ეს.6,1) და მოცი-ქულებრ მოქალაქობითა, ვითარცა-იგი იტყვს 7-იშ საკვრველი: «ეცინოდის ამბოხებასა ქა-ლაქთასა და ქმასა მოხარკეთასა შეურაცხ-ჲოდეს»(იობ.39,7).

14. ქოლო უპირატეს ყოველთასა, ზეშთა ყოვლისა, წინანარმდუარსა უქმს ყოველსა შინა განმართებად თავისა თვისისა, რახთა სახე კეთილი ყოველთა ექმნას; უფროოსლა, რახთა არად მოიგოს თავისა თვისისათვის საკუთრად, რამეთუ ყოველივე მისი არს, და რახთა ლოც-ვისათვის მოცალე იყოს და სიტყვთა მოძლურე-ბისათა და სწავლისათა ფრთხილ, ღუნოლი-სათვის ძმათახსა მოსწრაფე და უპატიოსნეს ყოვლისა შეჰრაცხოს ესევითარი განგებად და უაღრეს, ვითარცა იტყვს საღმრთო მოციქუ-ლი: «სდევდეს სიმართლესა მარჯუენითცა და მარცხენით, დიდებითა და გინებითა, ქებითა და გმობითა, ვითარცა მაცუურნი და ქეშმარიტ-ნი»(II კორ.6,7-8). Ծა სხვთა ყოვლითა ესევითარ-თა მცნებათა სახითა ჰმენისდეს და უძლოდის მისდა რწმუნებულთა მათ სამწყსოთა, მიწევ-ნად ნეტარებასა მას მოსალოდებელსა. ქოლო სულ-გრძელებასა და სიმშვდესა და სახიერება-სა ყოველთა მიმართმცა აჩუენებს, დიდთა და მცირეთა, და დაუთმობდეს სულ-მოკლეთა და უდებთა სიყუარულითა ზრისტესითა. Ծა ჯერ-არს თქუმად, ვითარმედ მდრტკნველთა მათ ზედაცა მებრ ჯერ-არს ჩუენებად სულ-გრ-ძელებისა, რომელთა დათმობად უძნელეს და უმძიმეს არს უფროოს ყოვლისა. ზარნა რო-მელნი თავს-იდებდენ მათსა, მრავალი სასყი-დელი მოიღონ იმრთისაგან, რამეთუ მსგავს იმრთისა იყვნენ.

15. Ծა შემდგომად ამის ყოვლისა ამასცა ვამცნებ კუაღლად, რახთა არა იყოს მონასტერ-სა ჩემსა წინამდლუარი, რომელსა თვანი და ნათესავნი მრავალნი ესხნენ. Ծავაყენებ ამის-

განცა, რამთა არა დააყენოს წინამძღვარმან თვესთა მისთაგანი ჭელადად გინა მსახურად მონასტერსა შინა, გინა გარე სოფელთა ანუ პრასტინთა.

ტავი 7

ქიცხვსათვეს მონაზონთახსა, რომელი
დავანესენით, რამთა არა დააკლდენ,
და მათგანთა ჭელისუფლად დაყენებისათვეს

1. ჯერ-არს უკუე რიცხვსათვესცა ძმათახსა განსაზღვრებად ესრე სახედ, ვითარ-იგი ქველის მოქმედმან იმერთმან ჩუენმან პირველ დასაბამსა შემოსლვად კაცთად სოფლად განანესა უწინარეს და არა-რახსაგან არსებად მოიყვანნა იგინი წესიერად და ზომიერად, ვითარ-იგი არავის აქუნდა იქჲ.

2. ცნ უკუე მნებავს მეცა, რამთა იყოს რიცხვ ზოგად ცხორებულთა მათ ძმათად ორმეოცდა ათამდინ, თვინიერ მამასახლისისა. ქოლო არიანმცა წმიდათა და მოღუწეთაგანნი და მადლითა იმრთისახთა შემკულნი სათნოებითა. ბა არა მნებავს, რამთა დააკლდეს რიცხუსა ორმეოცდა ათასა თვენერ მამისა.

3. ზაფუცებ იფლისა მიმართ და თანა კანონისა დაცსდებ არა შთამოყვანებად რიცხვ ერგასისთავ მათ. ცრამედ უკუეთუ შეემთხვოს დაკლებად ამის რიცხვსად გინათუ სიკუდილითა ვისითა, ანუ სხვთა მიზეზითა რათმე, კუალადმცა შეემატების და განსრულდების რიცხვ იორმეოცდა ათად მათ, რამთა დიდების მეტყუდებასა იმრთისასა და ლოცვასა არა მოაკლდეს და მსახურებადცა ადვილად იქმნებოდის და წესიერად და დაუკლებლად. ბა ამის ორმეოცდა ათერთმეტისა რიცხვსაგან:

4. წრთი იყოს წინამძღვარ და მწყემს მონასტრისა და ძმათა, რჩეული და განსრულებული სულიერითა მეცნიერებითა ყოვლითავე და მოლუანებითა.

5. ბა ორნი იყვნენ იკონომოსად ზედა სოფელთა: ერთი ფილიპოპოლისა კერძისათა და ერთი შისინოპოლისასათა და სხუათა მათ ქუემოთა სოფელთასა.

6. ბა ერთი დეკანოზად იყოს, წმიდად მოქალაქობითა და მეცნიერ ყოველსა განგებასა ეკლესისასა, რამთა წესისაებრ სკნაქსარისა აღასრულებდეს ყოველსავე.

7. ბა იყვნენ მღდელი უამის მწირველი ექუსინი,

8. ბა მთავარ-დიაკონი ორნი, რომელი საკურთხეველსა ჰმისახურებდენ და სხუათა რამცა ეპრძანოს მათ.

9. ბა სხუანი კერძოდიაკონი ორნი წიგნის 5 მეტხველად და კანანარხად.

10. ქოლო ერთი, რომელიცა იყოს მისანდობელი და მოშიში იმრთისად, დაეწესენ მეჭურჭლედ და დოშიარად ეკლესიისა, სამკაულთა და სიწმიდეთა და საქმართა და განძისა მცველად, რამთა სადაცთა შემოვიდოდის, წერით აიღებდეს და წერით გასცემდეს.

11. ბა ერთი იყოს მნათედ-კანდელაკად, რომელ ბრძანებისაებრ დეკანოზისა იმჭირვიდეს ეკლესიისა საკუმეველსა და ზეთსა და სან-15 თელსა, ზედაშესა და მხვმელსა და შიშითა იმრთისახთა წარაგებდეს ჯეროვნად. ბა დიდთა დღესასწაულთა, ოდეს მსახურებად ეკლესიისა განმრავლდეს, სხუათაცა ძმათა მისცემდეს მამასახლისი თანაშემწედ მნათისა.

20. 12. ბა ერთი იყოს კელრად, რომელ არს ოსტიგანი, წესისაებრ მონასტრისა, უზაკუველი და ერთგული, რომელსა ჰქონდის ჭელსა თვესსა პური და უწყდური და საწუნე და ზეთი, თაფლი და სხუათ ყოველივე საზრდელი და თვე 25 წარაგებდეს შიშითა იმრთისახთა.

13. ბა ერთი იყოს მემარნედ-ვაჟინრად, მოშიში იმრთისად მსახურებასა თვესსა,

14. ბა ერთი იყოს მეტრაპეზედ,
15. წრთი მესტუმრედ,

30. 16. ირნი მეუძღურედ – მოხუცებულთა და სნეულთა ზედამხედველად და მფუფუნებელად,

17. ბა ერთი რჩეული და იმრთის მოშიშთაგანი იყავნ იპიტირიტად – ძმათა ზედამხედველად, რამთა იქცეოდის მონასტერისა შინა, და რომელიცა ძმათაგან არა მოსრულ იყვნენ ეკლესიად უამსა ცისკრისასა გალობისასა პირველ დაწესებულთა წართქუმისა, მათ სწავლიდეს და ასწრაფობდეს წარსლვად ეკლესიად, რამთა არა უდებ იყვნენ და სხუასა მისდა დაწესებულსა წინამძღვართაგან წესსა აღასრულებდეს;

40. 18. ბა ერთი იყოს მეპურედ,
19. ბა ერთი მზარაულად,

20. ბა ერთი მეკარედ,
21. ბა სხუანი იყვნენ მგალობელად და მეტყრედ და მეფუსაღმუნედ.

22. ბა ესე ყოველი იყვნედ ერთ-სულ და ერთ-ზრახვა, ნებასა და შიშსა შინა იმრთისასა

და ურთიერთას სიყუარულსა, და მორჩილება-სა და მსმენელობასა წინამძღვრისა მათისასა, შენებასა შინა და სარგებელსა მონასტრისასა. Ծა ნუმცა ვინ არს ამათგანი წინააღმდეგომ, გინა ურჩ ბრძანებასა მამასახლისისასა, რა-საცა ეტყოფის სარგებელისათვეს ეკლესისა, გინა სწავლისათვეს და მოძღვრებისა სულიერი-სა, გინა ჭორციელისათვეს მსახურებისა მონას-ტრისა.

ტავი ზ

**შლდელთათვს უამის მწირველთა,
თუ ვითარ ჩურ-არს გამორჩევად მათი,
ანუ მათ ვითარ უქმის უამის წირვად**

1. იირს არს წინამძღვრისა და ძმათა ფრია-დითა გამოძიებითა გამორჩევად მლდელთად და რომელიცა წმიდად და სათნოდ და ლირსად იპოვნენ და განსრულებულად შიშითა იმრ-თისათა ალსრულებად საღმრთოსა მას საა-დუმლოსა, იგინი დააყენენ უამის მწირველად, რამეთუ მათ მიერ მოგუცემს კაცთ-მოყუარე იმერთი და ძაცხოვარი ჩური შვისნელი იესუ ჭრისტე ქანასა სულთა ჩურნთასა.

2. ქოლო უკუეთუ წარმდები ვინმე იპოოს მათგანი და სცეტეს წესასა მას შინა მლდელო-ბისასა, დადუმენინ ეგევითარი იგი მლდელო-ბისაგან და მის წილ სხუად დაენესოს ლირსი კაცი რიცხუსა მას შინა მლდელთასა აღმას-რულებელად საღმრთოსა მას საიდუმლოსა. ქოლო ცთომილი იგი გარეგან მონასტრისა სოხასტერთა შინა დაინესოს და მიცემული-საებრ მისდა მამასახლისისა მიერ კანონისა ინანდეს და შენდობასა და წყალობასა ლირს იქმნას და ეგრეთლა დაეწესოს დასსა მას თანა ძმათასა, რომელთა-იგი არა აქუნდეს მლდე-ლობა.

3. ქომლისათვს გაფუცებ იმერთსა ცხოვ-ელსა და უბინოსა წედასა შისასა, მამანო და ძმანო, რათა არავის მიუშუათ ულირსებით უამის წირვად ეკლესისა შინა ჩემსა. ხუალად ნუცა შერისა მიერ შესმენითა, ნუცა სხვთა რათმე საეშმაკოხსა მტერობისა ძვრის ზრა-ვითა განაძებთ ვის მლდელთაგანსა მონას-ტრით, არამედ ჭეშმარიტითა გამოძიებითა სცნობდით ცთომასა მლდელისა და ესრეთ განაძებდით.

4. Ծა ვინაათგან ყოველსავე საქმარსა თვესა ჭორციელსა ეკლესისაგან ალილებს მლდელი,

ჯერ-ესრეთ-იყო, რათა ყოველთა დღეთა წე-ლინდისათა სასეფოდმცა წირვიდა; გარნა ჩუ-ენ, უმეტესისა სარგებელისა მათისათვს, ესრეთ გავნანესეთ, რათა ყოველთა საუფლოთა და

5 სახელოვანთა დღესასწაულთა სასეფოდ წი-რვიდენ და მათთვს წირვიდენ, რომელთათვს განსაგებელსა ამას შინა ჩუენსა განგვრესებიეს, და სხუათა მათ მსგეფსისა დღეთა სამსა დღესა სასეფოდ წირვიდენ: ოთხმაბათსა, პარასკევისა

10 და შაბათსა. ქომელი ჩუენთვს განგვრესებიეს, ჩუენთვს ინირვოდის, და რომელი არა, ვისგანცა ეკლესისა საწირავად საქმარი აელოს და წი-ნამძღუარმან და ეკლესისა მნეთა უბრძანონ და განანესონ, მათთვს წირვიდენ.

15 5. ხვრიაკე დღე თვე საუფლო არს, ხოლო სხუანი დღენი მლდელთანი არიან, – ვისიცა ენებოს, მათთვსცა წირვიდენ.

ტავი ჲ

**ჩრაპეზისა შეზიადებისათვს და მსახურთა
დუმილით და სიმშვდით მსახურებისა**

1. იგრეთვე ტრაპეზისაცა საქმე და მსახ-ურთად კეთილად ალესრულებოდენ საზომსა მას ზედა, რომელიცა საზრდელთათვს განგ-კსაზღვრებიეს და ვითარ-იგი ან ჩუენგან ალ-ესრულების და აქა განჩინებით დაგვწერიეს. ზარნა წუთლა უპირატეს მსახურთათვს გუნე-ბავს განცხადებულად თქუმად და რომელი იმსახურებიან, – ეს იგი არს, რომელი დასხ-დებიან ტაბლასა და რომელი ზე დგანან მსახ-ურებად, – და ზედამდგომელთა და განმგეთა კეთილად წესიერებისათვს და სიმტკიცისა, რათა რომელი ზე-დგომით ჰმისახურებდენ, მიმოსლვასა მათსა მყუდროდ იქმოდინ თვინიერ რეხუებისა ფერწითასა; და რომელთა ინაქ-ედ-გას ტაბლასა, დაწყნარებულად მიიღებდენ საზრდელსა მათსა, რათა ყოველივე სადიდე-ბელად იმერთისა იყოს და მარილითა მადლი-სათა კეთილად შეზიავებულ.

2. ქოლო პირველობად და უკუანასკუნელო-ბად, რომელ არს ერთმანერთისა ზემო ჯდომად გინა ქუემო ჯდომად, არა აქა საძიებელ არს, არამედ თავადმან იმერთმან განაგოს მერმე-

45 სა ესევითარი განკრძალულად, რათა არა შფოთი და უწესოებად შორის შემოვიდეს. 3. Ծა ნუცა შეზურაცხ-ჰყოფენ ურთიერთას უცხოთა რათმე განზრახვითა გარეგან წესისა სამონაზუნოხსა საგნებელად სულთა თვესთათვს

და ურთიერთასმცა პატივ-სცემენ სიტყვსაებრ მოციქულისა, ვითარმედ «თვთოეული თქუენი ნუ ხოლო თავისა თვისისა სარგებელსა ეძიებნ, არამედ მოყუსისასაცა»(კორ.10,24). რა ესრე სახედ ამაღლდეს სიმდაბლითა მით ბრძანებისა მისებრ საუფლოსა, ვითარმედ «რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს»(მთ.23,12).

4. ერთვე წესსაცა წიგნის კითხვისასა ჟამსა ჭამისასა მტკიცედმცა იპყრობენ და შუენიერად დუმილსა და სმენასა; და ნუმცა ამას შინა ოდენ აჩუენებენ მტკიცედ წესიერებასა, არამედ ყოველსავე საქმესა შინა და ადგილსა, შინა და გარე, და ყოველსავე საქმესა მათსა განკრძალულად მოქალაქებითა.

1. ზანვანესეთ უკუე საქსენებელი ნეტარისა და კეთილად წსენებულისა ძმისა ჩემისა ცბაზ მაგისტროსისა ყოფად დღესა, რომელსა შინა მიიცვალა იგი, – თუესა სეკდენბერსა ოცა წმიდისა მონამისა წვსტათის დღესასწაულ-სა, რახთა დაეგოს მას დღესა შინა ტაბლად ბრწყინვალე და შუენიერი და აღსავსე ყოვლითა კეთილითა, რომელიცა მოეცეს იმრთსა:

მწუხრსა სუან ძმათა ორ-ორი კრასაული, სამხრად – ოთხ-ოთხი; და რაოდენნი ჟამის მწირველი მღლელი იყვნენ მონასტერსა შინა და გარე სოხასტერთა და სოფელთა შინა მას დღესა, ყოველთა მისთვე წირონ ჟამი. ზა მიეცეს მას დღესა გასაყოფელად გლახაკუთა დრაჟეანი სამეოცდა ათორმეტი, და შემდგომად ღამის თევისა და ჟამის წირვისა კუალად განეყოს დრაჟეანი ოცდა ოთხი ძმათა მათ მოსრულთა დღესა წსენებისა მისისასა.

2. შენებავს კუალად თქუმად ჩემთვეცა. ქამეთუ, ვითარცა-იგი წერილ არს: «კაცად-კაცადი თესისაებრ შრომისა მიიღებს სასყიდელსა»(კორ.3,8), არამედ დაღაცათუ სიქადული ჯერ-არს, გარნა არადვე სარგებელ არს, ხოლო «რომელი-იგი იქადოდის, იფლისა მიერ იქადოდენ»(კორ.1,31). ქამეთუ თქუენ თვით მებრ, რომელნი-ეგ დასაბამითგან მიცნობთ მე, უწყით კეთილად ყოველი ხარკებად და სწრაფად და ოფლითა მრავლითა შრომილებად ჩემი, და ნიჭი იმრთისანი, რომელნი-იგი არა მე, არამედ შადლმან იმრთისამან ქნა ჩემ თანა. ზა ვიცი სიყუარული თქუენი, რომელ, დაღაცათუმცა არა გამცენ და მოგაქსენე, თქუენ არა დაივიწყებთ, არცა უდებ-ჰყოფთ საქსენებელსა ჩემსა, რომლისად თანა-გაც ყოფად, არამედ ჰყოფდეთ უეჭუელად. ზარნა მზებავს, რათა უპატიოსნესადღა ჰყოფდეთ და გულს-მოდგინედ, და სარწმუნოებით მომიქსენებდეთ მე ყოველსა ჟამისა. ზა რომელნი-იგი შემდგომად ჩუენსა მომავალ არიან, ვევედრები მათ ყოველთა, ვითარცა მამათა და ძმათა, რათა არა-ოდეს დამივიწყონ ჩუენ.

3. ქოლო ჯერ-არს დღესა მას წსენებისა ჩუენისასა გულისქმის-ყოფად ძმათა, რომელნიცა ხედვიდენ ესოდენსა მას შუენიერებასა სახლისა იმრთისასა, რომელ არს წმიდად ეკლესია, და წლითიწლადთა მათ შემოსავალთა მისთა და სხუათა მათ საქმართა, რომელთა-იგი შემდგომად იმრთისა ჩუენ ქმნილ ვართ მიზეზ მოგებისა ყოველთა მათ კეთილთავსა, და ნუმცა დამივიწყებთ ჩუენ, არამედ რომელსაცა დღესა ინებოს იმერთმან ბრძანებითა შისითა ყოფად აღსასრული ჩემ ჟრიგოლისი, მას დღესა ჰყოფდით ჩემსაცა საქსენებელსა.

4. ზა მისცენ გასაყოფელად გლახაკუთა დრაჟეანი სამოცდა ათორმეტი და ნუგეშინის-სცენ ძმათა უხუად დაგებულითა ტრაპეზითა საჭმელთა მიერ და სასუმელთა. ზა ეგრეთვე რო-

მელნიცა მოსრულ იყვნენ დღესასწაულობად წსენებასა ჩუენსა, მათცა ნუგეშინის-სცენ. ზა შემდგომად ღამის თევისა და ჟამის წირვისა კუალად განუყონ ძმათა მათ მოსრულთა დღესა წსენებისა ჩუენისასა დრაჟეანი ოცდა ოთხი. ზა

უკუეთუ მის დღისათვე განწესებულთა ამათ დრაჟეანთაგან ანუ შემზადებულთა მათ საზრდელთაგან და-რა-ჰმატდეს სიმცროხსაგან მოსრულისა მის ერისა, იგიცა მეორესა დღესა გლახაკუთა განეყოს და სხუად რად ნუ იქმარების.

5. ზა ეგრეთვე რაგცა-რად ყოვლისაგან შემოსავალისა წელინდისა დაჰმატდეს, ოდეს ყოველივე საქმარი ეკლესიისად და ძმათად განწესებისაებრ ჩუენისა მიცემულ იყოს, და სხუად ყოველივე სათანადო და საჭირო წარსაგებელი ემნილ იყოს, მის ყოვლისა ნამეტნავისა, რომელი დაშოომილ იყოს, ნახევარი კუალად ეკლესიასავე საქმრად დაეტეოს საწინაოთა მოულოდებელთა რათმე ჭირთა და წარსაგებელთათვე, ხოლო ნახევარი ყოვლისა მის ნამეტნავისად ეგრევე მსგავსად ჟამისა წსენებისა ჩემისასა განეყოს კუთილად მსახურთა მიმართ ძმათა ზრისტესთა, გლახაკუთა და დავრდომილთა და მსახურთა და მუშაკთა მონასტრისათა და გლეხთა მისთა. ზა

20 25 ნახევარი ყოვლისა მის ნამეტნავისად ეგრევე მსგავსად ჟამისა წსენებისა ჩემისასა განეყოს კუთილად მსახურთა მიმართ ძმათა ზრისტესთა, გლახაკუთა და დავრდომილთა და მსახურთა და მუშაკთა მონასტრისათა და გლეხთა მისთა. ზა ყოველივე წინამდღუარმან და განმგეთა განუყონ თანა-განზრახვითა და მეცნიერებითა აპარადთა და იკონომისსთავთა.

6. ქოლო შიშითა იმრთისავთა და წმიდითა გონებითა და უბრალოეთა ნებითა ჰყოფენმცა განყოფასა მას, და უწყისანმცა, თუ ვითარსა სასკელსა ღირს იძოვა, რომელსა-იგი გუადრუცი საუფლო ეტკრთა და მპარავ და მკრეხველ და განმცემელ იფლისა თვისისა იქმნა(ინ.12,6; 18,2-3). ზა კუალად თუ ვითარ დაისაჯა ჟეჲზი კეთროვნებითა ვეცხლის მოყუარებისა მისისა-თვეს(IVმეტე,5,27). ზა ეკრძალებიანმცა, რათა არა-არა ესევითარი შეემთხვოს განმყოფელთა მათ.

7. ცნ უკუე ამის ყოვლისა უკლებად და უცთომელად მნებავს დამარხვად ყოველთა მიერ, რათა არცა ერთითა რახთ მიზეზითა დაეხრის რა ამათგანი.

8. ქოლო უკუეთუ ძმათა შემოწირულისა ანუ სხუათა ვიეთმე მიერ მოძღუანებულისა-აგან შემოიკრიბოს დრაჟეანი, არა ჯერ-არს ნამეტნავისად მის სულისათვეს ჩუენისა წარგებად, გარნა დამარხვად ჯერ-არს ძმათავე საქმრად, და შემოსავალისაგან მონასტრისა ყოფად ყოველივე საქმარი წსენებისა ჩუენისად.

9. ჟერეთვე განვანესეთ, რათა ყოველთა

შინა დღეთა წელინდისათა საღმრთოსა მას შინა სახდუმლოსა უამის წირვისასა თანა-შე-ნირვულ იქმნას ჭანისათვეს სულთა ჩუენთავასა სამი სეფისკუერი უდიდროვნენის, რომელსა ანაფორა ეწოდების, და ამოკუეთილ იქმნას ერთი სულისათვეს ჩემისა, და ერთი ძმისათვეს ჩემისა და ერთი მამისა ჩემისა ყაკურიანისათვეს. რა ორი იგი აღმოკუეთილი განეყოს გლახაკთა და უძლურთა, კართა ზედა მონასტრისათა მყოფთა, და ერთი იგი ძმათა ევლოგიად განეყოს. რა ეგრეთვე ყოველთა შინა ეკლესიათა სოხ-ასტრისათა ერთი სეფისკუერი აღმოკუეთილ იქმნას საქსრად სულთა ჩუენთათვეს თვინიერ ყოველისა ცილობისა. რა ამას განკანონებით და დაშვილებით ვამცნებ დამარხვად ყოველსა ძმობასა ჭანებისათვეს ჩუენისა და სარგებელი-სათვეს სულთა ჩუენთავასა, რათა ესრე სახედ პოონ წყალობად იმრთისაგან.

10. ჯერ-არს კუალად, რათა დღესასწაულ-სა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისასა ყოველთავე მღდელთა ჩუენთვეს წირონ უამი: ჩემთვეს და ძმისა ჩემისათვეს და მიცვალებულთა ჩუენ-თათვეს; და ეგრეთვე წმიდასა და დიდებულსა ბრწყინვალესა დღესა ტრისტეს ცლდგომისა-სა – ცლვებასა, – და წმიდისა ცმალლებისა დღესა, და სულისა წმიდისა მოსლვასა, და ცარებასა, და ტრისტეს ჟობასა, და ჟანცხადე-ბასა, – ამათ წმიდათა დღესასწაულთა ყოველ-ივე უამის წირვად ჩუენთვესმცა იქმნების. რა ეგრეთვე წელინდისა ყოველნი შაბათი ჩუე-ნთვესმცა ინირვიან: ერთი შაბათი ჩემთვეს და ერთი ძმისა ჩემისათვეს. რა ყოველთა დღეთა დიდსა შინა ეკლესიასა, ოდეს ზედა მწირველ-მან სახდუმლო აღასრულოს და ერი აზიაროს და სიწმიდესა ზეუკუმოიყვანებდეს, მას უამისა მღდელმან მოგვესენენს ჩუენ სახელ-დებით, მე და ძმაზ ჩემი, და შენდობაზ ითხოვოს ცოდვათა ჩუენთათვეს და ძმანი ყოველნი თანა-ეწამენ მას. რა ეგრეთვე ცისკრისა და მწუხრისა ლოც-ვისა აღსასრულსა მოგვესენებდენ მღდელნი და ძმანი ყოველნი მე და ძმასა ჩემსა და ითხოონ იმრთისაგან და თქუან, ვითარმედ: «შეუნდვენ იმერთმან ბრალნი მაშენებელთა ჩუენთანი!»

11. ქოლო დღესა შიდსა ქუთშაბათისასა საქსენებელი აღესრულებოდის სანატრელისა და კეთილად მსახურისა მამისა ჩუენისა ერი-სთავთა ერისთავისა ყაკურიანისათვეს ლოცვი-თა და უამის წირვითა, და ძმათათვეს ბრწყ-ინვალე და ჯეროვანი ტაბლად განემზადოს.

რა განეყოს მას დღესა დრაჟეკანი ოცდა ორი გლახაკთა.

12. ძმანო, მოიქსენებდით ჭირთა და რუდუ-ნებათა და შრომათა ჩემთა, რომელ თქუენი-5 სა სიყუარულისათვეს დავშუერ, რომლისათვეს სასყიდელიმცა კეთილი გპოვნიეს თქუენ მო-მშენებელთა და ჩუენ ჭანებულთა ტრისტე 7 ესუს მიერ იფლისა ჩუენისა!

ცავი 64

ცუ ვითარ ჯერ-არს ჭანებისა ყოფად
მიცვალებულთა წინამძღვართა
მონასტრისათა და სხუათა მათ ძმათა
უამის წირვითა და ლოცვითა

1. იდეს წინამძღვარი მონასტრისად აღესრუ-ლოს, ჯერ-არს ყოველთა მღდელთა და ძმათა ღირსებით და დიდებით პატივის-ცემად მისი სანთლითა და საკუმეველითა, ფსალმუნებითა 20 და გალობითა აღსრულებად მის ზედა ყოვე-ლივე წესა სამკუდრო. ცუ მღდელთაგანი იყოს, სამღდელოთა წესითა დაპმარხონ; და თუ ლი-ტონი მონაზონი იყოს, მონაზონთა წესითა; და წარაგონ გასაყიდვად საფლავსა მისასა ზედა 25 ათორმეტი დრაჟეკანი. რა ნუგეშინის-სცენ ძმათა და უმატონ საჭამადსა და სასუამადსა. რა მესა-მესა დღესა ყონ მისთვეს პანაშკდი და ღამის თე-ვად და მღდელთა ყოველთა უამი მისთვეს წირონ და ეგრეთვე ცხრასა და ორმოცსა და წელინ-30 დისა აღსრულებასა საეკლესიოხსა წესისაებრ.

2. ქოლო იდეს ძმათაგანი ვინმე აღესრუ-

ლოს, ესრევე ლოცვითა და გალობითა წესისაე-35 ბრ დაპმარხონ იგი და იქმნას მისთვეს პანაშკდი და ღამის თევად სამსა, ცხრასა, ორმეოცსა და წელინდისა აღსრულებასა.

ცავი 67

ქახთა არა შევიდეს დედაკაცი ეკლესიასა
ჩუენსა, არცა სადედო მონასტერი აღეშენოს
ოდესცა საზღვართა შინა მისთა

1. ცრა მნებავს უკუ რათურთით შესლვად დედაკაცისად ეკლესიასა ჩემსა გინა მონასტერ-40 სა რათაკა მიზეზითა, არცა ცოლოსნისა კა-ცისა დამკუდრებად საზღვართა მისთა, გინათუ მოყმისა ვისიმე უწუერულისად, რათა არასადა დასაბრკოლებელ იქმნას, არამედ კიდე ხოლო სოფელთა შინა და აგარათა იყვნენ.

2. წავაყენებ აღშენებისაგანცა სადედოხსა

მონასტრისა საზღვართა შინა მონასტრისათა და ნუმცა იქმნების ესე ოდესვე მიზეზითა 7-ვანეს დედისა და 7-ერმის დისახთა. იფროს-ლა მათიცა ჯერ-არს სხუაგან მიცვალებად მიერ, რამეთუ დაუთრგუნველად ყოვლითურთ დედათაგან განვანესეთ ყოფად ადგილი ესე, ვითარ-ესე მებრ სიცოცხლესავე შინა ჩუენსა განვაგეთ, რომელ ოდენ დღესასწაულსა წმიდასა ეკლესისა ჩუენისასა მოვიდოდინ ლოცვად და დაპყოფდენ ვიდრე უამის წირვისა უამაღმდე და მყის ხოლო მსწრაფლ განვიდოდინ მიერ. ბა ამის ჯერისათვს ვაფუცებ განკანონებით, რათა სხუასა არა რომელსა შინა უამსა იქმნას ესე.

ტავი 4

**ქახთა არაოდეს დაიკარგოს მონასტერსა
შიგნით ბერძენი ხუცესი ანუ მონაზონი
და თუ რად არს ამისი მიზეზი**

1. ბუალად ვამცნებ ამასცა და შჯულ-დებით დავამტკიცებ, რათა არაოდეს იყოს მონასტერსა შინა ჩემსა მკედრობით ბერძენი ხუცესი ანუ მონაზონი, თვინიერ ერთისა ხოლო მონაზუნისა, რომელმან წელით წერილი იცოდის და მწიგნობრობასა იქმოდის და თავადსა თანა მიიღლინებოდის წინამძღვრისაგან და მონასტრისა საქმეთა იურვოდის.

2. ხოლო ამას ამისთვის განვანესებ ესრეთ დამტკიცებით, რომელ ვითა არიან ბუნებით მძლავრნი და ანგაპარნი და ხელოვანნი, მე-შინის, თუ ნუთუ სავნებელი და დასაკლებელი რამე შეამთხვონ მონასტერსა, ანუ თუ წინა-ალმდგომცა ადგილისა იქმნენ და სრული-ად უფლებად მისა ეცადნენ მამასახლისობად წელ-ყოფითა, ანუ სხვა რაღაშე მიზეზისა სახითა, და თავისდა შექმნად ინებონ მონასტრისა. ქომელი-ესე მრავალ გზის გვხილავს მათგან ქმნილად ჩუენისა ნათესავისა უმანკოებისა და გულ-მარტიობისაგან. ტუ არა, ნებითა იმრთი-სახთა, ჭეშმარიტისა მართლმადიდებლობისა მათისა მიმდგომნი ვართ და აღმსაარებელი და მოწაფენი მათნი.

ტავი 5

**ტკისა და ნათესავთა ჩუენთა და ყმათა
ჩუენთათვს ქართველთა, რომელნიცა
მონაზონებისა წესა მოვიდოდინ, თუ
ვითარ ჯერ-არს შეწყნარებად მათი**

1. ტკუეთუ იყვნენ სადა მახლობელთა თვ-სთა ჩუენთა ცოცხალთაგანნი, – მათ ვიტყვ, რომელნი აღრაცხილებისა წესითა მახლობელ ჩუენდა იყვნენ თვსებით, – და წესა შინა მონაზონებისასა წურთილ და შესწავებულ იყვნენ და გონიერ და მეცნიერ განმგებელად მონასტრისა და შემძლებელ, ჯეროვნად და სამართლად შემირაცხიეს თავ ყოფად მათი საწინამძღვროდ, ვიდრე უცხოვ ვინმე და გარეგანი.

2. ტკუეთუ კულა უცხო იყვნენ იგინი სამღდელოსაგან წესისა და მოღუანებისა და არა ხოლო მოღუანებასა შინა იყვნენ უძლურნი, არამედ შეუძლებელიცა და უქმარნი საერისკაცოვსაებრ განგებისა და არცა თუ გულ-სავსე-

15 ბით მსახურებად იცოდიან, ნუ იყოფინ მათდა წელთ-დებად ესევითარისა ამის ადგილისა, რამეთუ სამკედლებელი ესე ზოგად ცხორებულთათვს და წესიერთა განმისაზღვრებიეს საყოფლად, რათა აზნაურად ეგოს უკუნისამდე ყოველთაგან შორიელთა და მახლობელთა თვსთა და ნათესავთა ჩემთა, და არცა ერთსა ვის მათგანსა დაემორჩილოს, არამედ მარადის იყოს თვთხელმწიფე და თვთმფლობელ ყოვლით კერძო.

3. ხოლო უკუეთუ ზემო თქემულთა ამათ ნათესავთა და ყრმათა ჩუენთაგან უსწავლელნი ლიტონნი ხოლო ვინმე იყვნენ ქართველთაგანნი და აღკუეცად ინებონ და განწესებულისა მის რიცხვსაგან ძმათავსა დაკლებულ ვინმე იყოს, მაშა ჯერ-არს მათი უფროს პატივცემად და შეწყნარებად და ადგილსა მას დაკლებულისასა დაწესებად აღმავსებელად რიცხუსა ძმათა რავდენობისასა. ხოლო იგინი იყვნენ, წესისაებრ მონასტრისა და ერთობისა მის ძმათავსა, მორჩილებასა ქუეშე წინამძღვრისასა. წარიცხუსა მას ძმათასა ნუმცა დააკლდების ნუ ოდეს.

ტავი 6

ზოლარისა ქმნისათვს იკონომოსისა და სხუათა მსახურთავსა წინამძღვრისაგან და წინამძღვრისა ეპიტროპოსთაგან და ძმათა

45 1. ჯერ-არს და სამართალ, რათა წელინად-სა შინა ორ გზის დიდი იკონომოსი გაიკითხვიდეს სხუათა იკონომოსთა და მსახურთა და ლოლარისასა უქმოდის: ერთჯერ სეკდენბერსა და მეორედ ცლვსებასა შიშითა იმრთისახთა და სამართალითა. წარაცა შემოსავალი იყოს, აიღებდეს მათგან და აპოტიქსა შეუქმოდის

დიდი იკონომოსი და მამასახლისასა მისცემდეს.

2. ზა მისგან იქმნებოდის ლოღარიასად და აპოტიქსა აიღებდეს.

3. ძამასახლისი ეგრეთვე შიშითა იმრთისათა ეპიტროპოსთა მეცნიერებითა წარაგებდეს შემოსავალსა საქმრად ეკლესისა და მონასტრისა და დანაშომისა, რომელი არა წარგებულ იყოს სარგებელად და წამსად მონასტრისა, მისცემდეს მეტერქლესა და დოშიარსა და მისგან აპოტიქსა აიღებდეს. ზა ყოველთა ცლვსებათა მამასახლისი იქმნებოდის ლოღარიასად იკონომოსთაგან და მეგანძურისა და სხუათაგან ძმათა.

4. ზა ეგრეთვე მეგანძური, რომელ არს დოშიარი, გაიკითხვოდის, ლოღარიასობით წელიწადსა შინა ორგზის მამასახლისისაგან და სხუათაგან ძმათა.

5. ზა უკუეთუ ამათგანსა ვისმე მოეხუჭოს ანუ ცუდად წარეგოს საქმართაგან ეკლესიისათა, ჯერ-არს, რათა დაკლებული იგი და შეჭმული ეკლესიასავე შეუქციოს და თვთ განიძოს მსახურებისაგან თვისისა.

6. ზა რომელი-რამე დაპმეტდეს ეკლესიისა შემოსავალთაგან, გარეშე ჩუენ მიერ განწესებულისა მის წარსაგებელისა და სხვსა მის ჯეროვნად წარგებულისა, რომელიცა საქმრად და სარგებელად ეკლესიისა ქმნილ იყოს, იგი ყოველი დამარხულ იყავნ, რათა სხუასა შინა უამსა ოდესმე საქმრად და სარგებელად ეკლესიისა წარეგოს.

7. ცმასცა განვაწესებ, რათა არა ოდეს დააკლდეს ვიდრე ათად ლიტრადმდე განძი საფასე მონასტრესა, რათა საწინავროდ საქმრად ეგოს მონასტრისათვს მომავალსა შინა უამსა. ზა სხუა, რაც ამისასა უმეტესი დაშთეს, მისცენ და ადგილი მოუყიდონ ეკლესიასა.

ცავი ბს

ქათა შენებასა ჰყოფდენ ყოვლადვე
მიცვალებულთასა უამის წირვითა
და სამლელოთა შინა საფლუმოთა
მოიქსენებდენ სულსა შესუენებულთასა
დაუცხრომელითა ლოცვითა

1. ცმასცა კუალად მცნებად ნამარხევად მიგცემ თქუენ, მამანო და ძმანო, ყოვლითა დამოწმებითა და სიმტკიცითა და კანონებით დაშვითა და აღვსწერ მტკიცედ, რათა ყოვლადვე და მარადის დაუცხრნეველად აღასრულებდეთ

სადაუმლოსა საღმრთოესა მის მსხუერპლისასა; და მარადის იქსენებიანმცა ჩუეულებისაებრ სულნი შესუენებულთა ყოველთა ტრისტეანეთა ტრისტეს მიერ ძმათა ჩუენთანი; ვითარ-იგი 5 მებრ დასაბამითგან წესად მოგვლებიეს ზეგარდამო და ვიდრე მოაქამდე ძადლითა იმრთისათა დამარხულ არს ყოველთა შინა ეკლესიათა, ეგრეთვე სახედ თქუენცა დაპმარხეთ, რამეთუ ესე არს საქმე შეუნიერი და სათნო იფლისად 10 და თანა-აც ყოველთა მორწმუნეთა შეურყეველად დაცვად ამის ესევითარისა მცნებისად და უფროვსლა მონაზონთაგან, რამეთუ ამის მიერ ყოველი ძალი წინა-აღმდგომისა ჩუენისა ეშმაკისად დაიწყინების.

15 2. ზა ეგრეთვე ეგუტერსა შინა წმიდისა წოვანე ჩათლის-მცემელისასა მღდელი ერთი დაიკარგოს, რათა მარადის დაუცხრომელად წენებათა ჰყოფდეს შესუენებულთასა.

20 3. ზა კუალად აღესრულებოდენ ყოველთა ძმათა საქსენებელი დამის თევითა და პანაშკდითა და უამის წირვითა, ვითარცა ზემო წერილ არს.

25 4. ზა არა ესეოდენ, არამედ უკუეთუ მორწმუნეთაგანმან ვინმე გარეთ მოღმართ ძლუენი შემონიროს და საქმართა მიერ ქველის საქმითა ჰმსახუროს მონასტერსა ამას და გინათუ ლოცვითა მოქსენებისა მისისათვს ყოს ესე, ანუთუ წლითი-წლად წენების ყოფისათვს, ჯერ-არს, რათა ყოველთა ულლოცნ მას წელ-აპყ-30 რობით და ჩუენისა ამისებრ დამცნებისა მოიქსენებდენ წმიდათა შინა უამის წირვათა.

35 5. ზა ამის ყოვლისა დაუცხრნეველად და უქცეველად ჰყობად ვამცნებ ყოველთა, რომელიცა შემდგომად ჩუენისა მომავალ არიან, ვიდრე აღსასრულადმდე ამის საწუუთოობასა.

ქავი ბს

ძოუძლუერებულთა და მოხუცებულთა
ძმათათვს, თუ ვითარ ჯერ-არს
განსუენებად და ფუფუნებად მათი

40 1. წოლო რომელინი-იგი მოუძლურდენ ძმათაგან ჭირვეულნი სნეულებითა, გინა თუ სიბერითა, ანუ სხვთა რათმე მიზეზითა სენთა ათა, მათი ჯერ-არს უმეტესად ღუწოლად და ფუფუნებად საზრდელითა და სასუმელითა. ზა ეგრეთვე მათ თანა-აც მოთმინებად და არა სულ-მოკლებით დრკვნვად და რათა თვთ მათ თავადთა და რომელინი-იგი ჰმსახურებდენ მათ,

ზოგად სასყიდელი მიიღონ მართლ მსაჯულისა მის მიერ ტრისტეს იმრთისა ჩუენისა. ქამეთუ ესე არს ნანდვლვე ნება იმრთისა, რომელ არს მოყუასთა მიმართ კეთილის ყოფა და სიყუარული მათი და სიტყბოებისა ჩუენება.

2. ზა არა ხოლო ესე ოდენ თანა-აც წინამდლუარსა, რათა ჭორცთათვს ხოლო ზრუნვიდეს, არამედ სულთაცა მათთა უკმა გამოზრდა და სიტყვთა მით მოძლურებისამთა; და არა სიტყვთა ხოლო, არამედ საქმითაცა, რათა მსგავსად მკურნალისა ჭელოვნისა ჰკურნებდეს სულთა მათთა.

3. ქამეთუ ესე არს მებრ საძიებელი ჩუენი, რომლისათვს ყოველი სიტყუა და საქმე მოღუანებისა და სრულ იქმნების და რომლისა უმეტეს სათნო იმრთისა არა რა არს, ესე იგი არს უწესოთა და ლირნთა წესიერება და მოყვანება, მომთრვალეთა მარხვითა განმწნობა, მრისხანეთა სიმშვდისა და სულ-გრძელებისა სწავლა, ამპარტავანთა სიმდაბლითა განშუნება.

4. ქამეთუ ესე არს სიბრძნე პირველი, ესე არს სიბრძნის მოყუარება და საღმრთო, ესე არს ხატი და მსგავსება იმრთისა კაცობრივისაებრ ძალისა და ბაძვა შისი, ქომელმან-იგი «უძლურებანი ჩუენნი იტკრთნა და სნეულებანი ჩუენნი განკურნნა»(ეს.53;4; მთ.8,17). ქამეთუ რაღამცა სხუა იყო ეგვეითარი-იგი, გარნა პირი იმრთისა, ვითარცა იტყვს წინაწარმეტყუელი, ვითარმედ «რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოებისაგან, პირ ჩემდა იწოდოს»(იერ.15,19) და ხატ - ხატიერებისათვს პირმშოსა მას სახესა მიმსგავსებითა.

ტავი ტც

სამთა მათ ჩემ მიერ აღშენებულთა
ქსენადოშთათვს, რომელ არიან
უცხოთ სადგურნი

1. ქოლო რომელ-იგი სოფლისა სტენიმახისა ქუემო კერძო, ორთა მათ გზათა ზედა აღვაშენეთ ქსენადოში ერთი, განუწესებ და განუსაზღვრებ მას მისვე სოფლისა სტენიმახისა შემოსავალისაგან, რათა მიეცემოდის მგზავრთათვს და გლახაკთა ყოველთა შინა დღეთა ნელიწისათა:

- ა) დიკა მოდი,
- ბ) ღვნო მეტრო და

გ) საწუნე, – რაც იმერთსა მოეცეს ცერ-ცუთაგან და მხალთა.

დ) ქანუნესე წისქლიცა ერთი სასეფოთა წისქლთაგან, რომელ არიან სტენიმახს, რათა საფეხავსა დაუფეხიდეს,

ე) და გლეხი ერთი უღლისა უფალი თავი-სუფლად სხვა ყოვლისა სამსახურებელისა და ჭირისაგან მასვე სოფელსა შინა, რათა ოდენ სამწიროსა მას ჰმისახურებდეს შემისა მოღებითა და წყლისამთა და სხუა რაცა უკმდეს სამსახურებელი;

ვ) და კაცი ერთი სარწმუნო მემწირედ მონაზონთაგანი, რომლისა ჭელითა განეყოფვოდის დაწესებული ესე საზრდელი გლახაკთა და მოგზაურთა. ზა იყავნ იგი წმიდა გონებითა და მოშიში იმრთისა, რათა შიშითა იმრთისამთა ჰყოფდეს განყოფასა მას შეუორგულებელად და აღიღებდეს ძმათა თანა მონასტრისათა წესთასა თესა და როქსა, ვითარცა ერთი მესამისა დასისაგანი.

2. ზა იყვნენ ქსენადოშსა მას შინა ცხედარნი მრავალნი და ფურნე და თორნე, განკურვებულნი ზამთრისა დღეთა სტუმართათვს სატფობლად და გასაქმობლად და განსასუენებელად.

3. ზა უკუეთუ დაუძლურდეს ვინ მოსრულთა მგზავრთა და სტუმართაგანი, ჯერ-არს მათი განსუენება სამ დღე და ეგრეთ წარგზავნა. ტკუეთუ კულა სრულიად მოუძლურდეს და ვერ ეძლოს სლვად, ჯერ-არს მუნამდის დამჭირვა მისი და განსუენება, ვიდრე სრულიად განმრთელდეს.

4. ცლიშნოს უკუე სამწიროსა მის თანა ბორცუსა ზედა კოშკი ერთი, რათა საქმარი რაც იყოს, მას შინა დაიმარხოს და არავის ჭელ-ენიფლოს მძლავრთა მგზავრთაგანსა უნებლებით მიტაცებად.

5. ქოლო ქსენადოში შარმარისა, რომელ არს წიდა ზედა, და მეორე ქსენადოში ჩიკოლ-წმიდისა, რომელ არს ზღვს კიდესა, რომელინი აღვაშენენით საჭირად სულისა ნეტარისა მიისა ჩუენისა, განვაწესე ეგრეთვე, რათა იყვნენ მსახურად მათ შინა მონაზონნი ორნი – ერთი მუნ და ერთი მუნ, – და აღიღებდენ იგინიცა როქსა, ვითარ-იგი აიღებს სტენიმახელი.

6. ზა მიეცემოდის სასტუმროსა შარმარისა სოფლისა ზრავიკისა შემოსავალისაგან ყოველთა დღეთა:

- ა) დიკა მოდი ერთი

ბ) და ლკნოხ მეტროხ ერთი
გ) და გლეხი ერთი გაუთავისუფლონ მფქვე-
ლად და მრეშულელად და მერწყულად და სხუა
რადცა უქმდეს ქსენადოშსა მსახურად.

7. ზა ეგრეთვე მიეცემოდის ქსენადოშსა ჩი-
კოლნმიდისასა შემოსავალისაგან სოფლისა პრ-
ილონგისა ყოველთა დღეთა:

- ა) დიკად მოდი ერთი და
- ბ) ლკნოხ საწყაული ერთი და
- გ) სხუა საწუნე, რადცა იმერთსა მოეცეს,
- გინა თუ ცერცკ, გინა თუ მხალი.
- დ) და გლეხი ერთი მუნითცა გაუთავისუ-
ფლონ, რომელ საფქავსა უფქვიდეს და შეშასა
მოართუმიდეს და სხუა რადცა სამსახურებე-
ლი იყოს ქსენადოშსად, იქმოდის.

8. ქომლისათვეს ვაფუცებ ყოველთა იმერთ-
სა ცხოველსა და უბინოსა წედასა მისია, რათა
არადეს დაიხრიოს განწესებად ესე სასტუმ-
როთად ამათ, არცა რად დააკლდეს ჩუენ მიერ
განჩინებულისა ამისგან მისაცემლისა, დიდი
გინა მცირე, კნინოდენიცა. ზა მრნამს მე იმ-
რთისად და წმიდათა შისთავ, რომელ, დალაცა-
თუ სხვა არარავსათვს, გარნა ამისთვეს მებრ,
უკუეთუ ვინ დაპმარხოს წესი ესე, იმერთმა-
ნცა, მიზეზმან კეთილთამან, დაუქსნელად და
შეუხებელად ყოველთაგან ბოროტთა დაიცვას
ადგილი ესე.

9. ზა უკუეთუ უმეტესად და უდიდესად ალ-
ემატოს შემოსავალი მონასტრისა ჩუენისაა,
თანა-ალემატებოდენ სტუმართ მოყუარებისა-
ცა ესე წესი. ზა უკუეთუ არა, მაშა რომელი ესე
განვაჩინეთ, ნუმცა ოდეს დააკლდების, არამედ
უფროვსლა შეურყეველად და მტკიცედ ეგენ
ყოვლადვე.

10. ტკუეთუ კულა ინებოს ვინ შემდგომად
ჩუენსა დაქსნად ესევითარისა ამის სტუმართ
მოყუარებისა წესი, ბრალად დიდად შეერაცხენ
მას და ცოდვათამცა ჩუენთა მზღველი არს
ნინაშე იმრთისა!

ცავი ზე

ჩუენ მიერ პირველ ნინამძღურად
დადგინებულისა ჸრიგოლ ზანელისა
საწუნებელისათვე

1. პირველ ადრით უამითგან შეუუარებულ იყო
ჩუენ მიერ მონაზონი ესე სანატრელი ჸრიგოლ და
მასცა სარწმუნოებით და მწერვალითა გულითა
ემსახურა ჩუენდა და გკლოცვიდა. ზა უფროვსლა

აწინდელსა ამას ჩუენ მიერ დადებულსა მისდა
მსახურებასა და ზედამდგომელობასა შინა ეკლე-
სისა და მონასტრისა შენებისასა კეთილად წარმ-
ართებითა, და უცონილად, მისდა რწმუნებულისა
5 მსახურებისათა უმეტესსა მიერთხვა ჩუენ მიერ
სიტკბოებასა და სიყუარულისა.

2. ტმისთვეს ჩუენცა მისდა მიმართ მოწლეო-
ბითა სიყუარულისათა განჩინებით დავაწესეთ
დღე ჭანებისა მისისაა, რათა დღესასწაულ-
10 სა წმიდაისა ჸრიგოლ იმრთისმეტყუელისასა
აღესრულებოდის საწუნებელი მისი. ზა თა-
ნა-აც ყოველთა მღდელთა და ძმათა ბრწყინ-
ვალედ დღესასწაულობად ყოვლითა განგებითა
და მისთვე უამისი წირვითა და ნუგეშინის-ცე-
15 მად ძმათა უმეტესთა საზრდელთა მიერ და
სასუმელთა. ზა მიეცეს მას დღესა შინა წარ-
საგებელი გასაყოფლად გლახაკთა ექუსი დრ-
აპკანი და უამისა მიცვალებისა მისისასა, მეს-
ამესა დღესა, და მეცხრესა, და მეორმოცესა,
20 და წელიწმისა აღსრულებასა, ვითარცა ზემო
წერილ არს სხუათათვს მიცვალებულთა წინ-
ამძღუართა, ეგრეთვე მის ზედა აღესრულოს
ყოველივე.

3. ზა უკუეთუ ზემო ჭანებულმან ამან მამ-
25 ამან დაიცვას ყოველივე, რადცა მოწევნულსა
ამას ტიპიკონსა სწერია, სრულებით შეურყევე-
ლად და არა მაოქრებელ იპოოს მონასტრისა
ჩუენისა, დიდითა რათა გინა მცირითა, იყავნ
იგი კურთხეულ! ქოლო უკუეთუ იპოოს ცხ-
30 ორებასა შინა თვესა გინა შემდგომად სიკუდი-
ლისა ცოდმასა რას შინა, საწუნებელისა წილ
წყევად მიიღენ და უცხო იქმენინ წმიდაისა ამის
მონასტრისაგან და ძმობისაგან მისისა!

35

ცავი ზე
შოყმეთათვს დიაკონთა, თუ სადა იყვნენ
ანუ ვითარ განისწავლნენ

1. ზანვანებეთ უკუე ყოფად მოყმეთა მოს-
40 წავლეთა ჩიკოლნმიდას, რომელ არს მახლო-
ბელად ციხისა სოხასტერი. ზაიკარგოს მას
შინა მღდელი ერთი წმიდად და მოღუანე მოხ-
უცებულთაგანი, ლირსად უამის მწირველი, და
აიღებდეს როქსა და საზრდელსა და სხუასა
45 ყოველსა საქმარსა სწორად სხუათა მათ მღ-
დელთა, რომელი იყვნენ დიდსა მონასტერსა,
და პმსახურებდეს წმიდასა მას ტაძარსა გალო-
ბითა და კურთხევითა.

2. ზა მსგეფსა შინა სამსა დღესა სასეფოდ

უამსა წირვიდეს; ერთსა დღესა – მამისა ჩემისა ყაკურიანისათვს და ერთსა დღესა – მამის ძმისა ჩემისა ლუასროვანისათვს და ერთსა – მამის ძმისა წულისა ჩემისა ყაკურიანისათვს.

3. ზა განეწესოს დიდისა ეკლესიისაგან და 5 წინამძღვრისაგან მიცემად საკუმშეველი, ზეთი და სანთელი და მხვმელი და ზედაშე, ვითარცა შეჰვანდეს ზემო თქუმულსა მას ეკლესიასა და ტაძარსა წმიდისა ჩიკოლაზისასა.

4. ზა იყვნენ 10 წმიდასა მას ეკლესიასა ჩიკოლნმიდისასა მღდელსა მას თანა სასწავლოდ ყრმანი ექსანი. ზა აიღებდენ მონასტრისაგან საზრდელსა თვესა და სამოსელსა, ვითარ-იგი შეჰვანდეს, ვიდრემდის დაისწავლონ სრული- ად ყოველი წესი სამღდელო.

5. ზა ოდეს პასაკად მოიწინენ და წუერითა გასრულდენ, მაშინდა რომელნიცა ღირს მღდელობისა იყვნენ მათგანნი, ხუცად იკურთხნენ და შეწყნარებულ იქმნენ დიდსა მონასტერსა და უამსა წირვიდენ სხუათა თანა მღდელთა, თუცა თუ არა დაჲკლებოდის რიცხუსა პირველ განწესებულთა მღდელთასა. ზა აიღებდენ იგინიცა ყოველსა მისაცემელსა, ვითარ სხუანი იგი უამის მწირველნი.

6. ქოლო რომელნი არა ღირს იყვნენ მათ- 25 განნი მღდელობასა, განისხნენ მიერ, გარნა რიცხუსა ყრმათასა წუმცა ოდეს დაკლებულა ჩიკოლნმიდას სწავლისაგან.

ტავი ზე

საკარგავისა არავისდა მიცემისათვს, არცა განსყიდისა

1. ქანვაყენებ ამისგანცა და რაღოურთით არა მივსცემთ მიშუებასა, ვითარმცა, ცლმო- 35 სავალეთისა გინა ბასავალეთისა მონასტერთა წესისაებრ, წინამძღუარმან საკარგავი მისცა ვის ძმათაგანსა მონაგებთაგან მონასტრისათა: ანუ გლეხი, ანუ მიწა, ანუ ვენაჭი, ანუ ბოსტანი, გინა თუ სხუად რაღცა-რად ესევითარი, რაღთა არა დაიშანას ერთობად ძმათა.

2. ქერეთვე განსყიდასა და განიჭებასა ვის- 45 საცა პირსა არა უწამებთ და ამას ყოვლითა სიმტკიცითა ვამცნებთ, რომელი-ესე წუ იყოფინ ყოფად ოდესვე. ქარნა გლეხთა ხოლო მიეცემოდის საკარგავი, რომელნი ეკლესიასა პმსახურებდენ და თანა-ნადებსა თვესა გარდაიჭიდენ.

ტავი ზე

ხრძალვით დამარხვისათვს გუჯარისა ამის განსაგებელისა, რომელ არს ტიპიკონი, და რამთა ეკლესისა ჩუენისა დღესასწაულსა და სამთავე წმიდათა მარხვათა შემოსლვასა ნარიკითხუოდის ტიპიკონი ესე საეროდ სრულებით

1. ზაფუცებ იფლისა მიმართ და სიტყუა- 10 სა დავსდებ ყოველთა თანა, რაგთა არაოდეს დაკლოს ვინ ჩუენ მიერ დადებულთა ამათ წესთაგან, არცა გარდაჭედეს კანონთა ამათ. ტკუეთუ კულა ინებოს ვინ დაწანად სჯულის- დება, ესე, ანუ მცნებად განწესებულისად ამის შეცვალოს, ანუ და-რაღ-აკლოს ამისგანი, ანუ თუ იოტაოდენი ერთი რქად გამოილოს ამისგან (შდრ. ძთ. 5, 18), გინა თუ ყოვლითურთ მებრ სრულიად მოპარვად ანუ წარწყმედად და გამო- 15 წუებად მონასტრისა ამისგან მოიგონოს წინამძღუარმან ანუ ძმათაგანმან ვინმე, ანუთუ სხუ- ამან რამანცა გუარმან კაცმან, დასჯილ იყავნ იმრთისაგან და ყოველთა წმიდათა შისთაგან და ბრალთა და ცოდვათა ჩუენთა თანამდებ იყავნ წინაშე ზრისტესა.

2. ქოლო რომელთა განკრძალულად და შიშ- 20 ით დაიცვან წმიდათა მამათაგან განწესებული ესე ტიპიკონი, და ჩუენ მიერ დამტკიცებული ესე განსაზღვრება, ბრალობისა ჩუენისაგან თავისუფალ და კურთხეულ იყავნ იფლისა ჩუენისა ესეუდს ზრისტეს მიერ, რომლისა თანა ძამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდება, მთავრობად და პატივი, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ტავი ზე

სიწმიდისა სამსახურებელთათვს და 25 ქატთა და ჯურთათვს და ყოველთავე პატიოსანთა სამკაულთათვს, რომელნი მიგცემიან და დაგვმტკიცებიან და დაგვსხმან პირველ თქუმულსა ეკლესიასა და მონასტერსა ჩუენსა, და ეგრეთვე ოთხფერწითათვს და ყოვლისა ფერისა თვთო სახეობისათვს, რომელნი მივსცენით წმიდასა ამას მონასტერსა, რომელ არიან ესე:

ც

1) ქატნი ოქროხასნი შემეფტონითა, ორნი, რომელთა შინა სუენებიან ნაწილნი ჭელისა

ცხორებისანი.

2) ზა სხუა ხატი ერთი დიდი, შემეფტონითავე, ტერისცვალებისა იფლისა.

3) ზა სხუა ხატი ერთი დიდი, შემეფტონითა, რვა-კედლოვანი.

4) ზა სხუა ხატი ერთი მცირა, კარედი, წმიდისა იმრთისმშობელისა, შემეფტონითავე.

5) ჯუარი სატოსანი ერთი დიდი შემეფტონითა და თუალებითა, წმიდისა საკურთხეველისა.

6) ზა სხუა ჯუარი ერთი ვეცხლისა, სადროშა, წითლითა თუალებითა.

7) ზა ჯუარი ერთი სხუა შეშისა აქროვთა მოჭედილი, და ზედა ხუთი თუალი მწიე იაგუნდი.

8) ზა სხუა ხატი ერთი ქვისა, ექუს-კარედი, ჯუარცუმისა.

9) სხუა ხატი ერთი დიდი შეშისა, პეტალოვთა ვეცხლითა შემოჭედილი, წმიდისა ჟიორგისი.

10) სხუა ხატი ერთი წმიდისა ჟიორგისი და ტევდორესი, სარუთითა და ვეცხლითა მოჭედილი.

11) ზა სხუა ხატები შეშისა, აქროპეტალოვთა შეკაზმული, რიცხვთ ოცდა შვდი.

12) ზა კანკელი დიდისა კონქისა, რომელსა აქუს გამოსახულად ათორმეტი სადუმლოვ განგებულებისა ზრისტესი.

13) ყარძიმ-ფეშუემი ვეცხლისა, აქროვთა ცურვებული, თუალებითა, რომელთაგან აკლს თუალი ათერთმეტი.

14) ყარძიმი ერთი იასპი, აქროვთა და შემეფტონითა შეკაზმული.

15) სხუა ბარძიმ-ფეშუემი ვეცხლისა, ხატოვანი, სამი წყვილი.

16) ბოვზი ვეცხლისა ერთი.

17) საცეცხურნი ვეცხლისანი სამნი.

18) სასაკუმევლე ვეცხლისა ერთი.

19) ღურჯი ვეცხლისა, სანაწილე სიწმიდისა, ერთი.

20) ზორაკანდელნი ვეცხლისანი ორნი, თავიეთ ჯაჭვებითა, – ერთი მათგანი აქროვთა ცურვებული არს.

21) სახარება ერთი ბერძული, აქროვთა და შემეფტონითა შეკაზმული, რომელსა ზედა სხენან თუალნი დიდფასისანი.

22) სხუა სახარება ერთი, ქართულად წერილი ითხოვთ, ვეცხლითა შეჭედილი, აქროცურვებული.

23) სხუა სახარება ერთი მცირე, ითხოვთ ვეცხლითა მოცუარული.

24) სხუა სახარება დიდი, მრგულად წერილი ითხოვთ, ეგრეთვე ვეცხლითა მოცუარული.

25) სხუა სახარება ერთი გამოკრებული, ვეცხლითა შეკაზმული და ოქროვთა ცურვებული.

26) სხუა სახარება ერთი, გამოკრებული, ლიტონად შემოსილი.

27) ჩიგნი ერთი ტარგმანება სახარებისა ჟოვანეს თავისა.

28) ჩიგნი ერთი იმრთისმეტყუელი.

29) ჩიგნი ერთი წმიდისა ყასილის ჟითკა.

30) სხუა წიგნი ერთი დიდი, ძრავალთავი.

31) სხუა წიგნი ერთი, ცხორება წმიდისა სკმერნისი.

32) სხუანი ორნი წიგნი წმიდისა ძაქსიმესნი.

33) სხუანი ორნი წიგნი ბლემაქსნი.

34) სხუანი ორნი წიგნი, წმიდისა იმრთისმობლისა ცხორება.

35) სხუა წიგნი ერთი, სტოდიელი.

36) სხუანი წიგნი, სათუენი, სამნი.

37) სხუა წიგნი ერთი, საგალობელი ქვათა ჭმათა.

38) სხუა წიგნი ერთი, სკნაქსარი.

39) სხუა წიგნი ერთი ბურთხევათა.

40) სხუანი ორნი წიგნი, გამოკრებული პავლენი.

41) სხუა წიგნი ერთი, იცდა ითხოვთა უამთა.

42) სხუა წიგნი ერთი, ჟკლესისა კურთხევა, ვეცხლითა მოცუარული.

43) სხუა წიგნი, სარაკლიტონი ითხოვთა ჭმათა.

44) სხუა წიგნი ერთი წმიდისა ჟაკისი.

45) სხუა წიგნი ერთი, გამოკრებული ჟადგარი.

46) ბავითნი ერთნი.

47) ღურა სამეუფო აქსიკასტორი ითხოვთ.

48) სუდარა ითხოვთ აქრო-წერილითა ალმითა.

49) სტავრა სამოსელი უკერავი, აქსიკასტორი, ორი.

50) სკარამანგნი მძიმენი, ხუთნი.

51) სტავრა ერთი – დურანგი გაუკუეთელი.

52) სტავრა ერთი სხუა ტრივლატი.

53) სხუა საკურთხეველისა საბურავი, შეკერული სკარამანგი დურანგი, თავისა წესითა

ყოვლითა.

54) სხუად საბურავი საკურთხეველისაა ორთა ეგუტერთად სრულებით.

55) სხუად საკურთხევლისა საბურავი ერთი, თეთრი ექსამიტონი, რომელსა აქუს ხატი წმი- დისა მირთისმშობელისაა მარგალიტოვანი.

56) სამღდელო შესამოსელი.

[აქ ტექსტს აკლია]

ყ

ზა რომელი სხუად მივეცით პატიოსანსა და წმიდასა ეკლესიასა ჩურნსა

1) შიხაელ მეფისა მოცემული ყელსა სა-
სუენებელი ჯუარი პატიოსნისაგან ტელისა 15 ცხორებისა.

2) ზა ეგრეთვე ქოთათორისა მოცემული
ჩემდა ლელატად ყელსა სასუენებელი ჯუარი
პატიოსნისაგან ტელისა ცხორებისა.

3) ზა სხუად მისგანვე დატეობილი ჩემდა 20
მცირე ხატი, რომელსა შინა სუენებია ცხოვ-
ელს-მყოფელისა სისხლისაგან ზრისტეს მირ-
თის ჩურნისა.

ზა ესნი დაისხნეს ვეცხლისა ბუდეთა ოქ-
როვანთა შინა, ვითა სხუანი იგი პატიოსანი 25
ჯუარნი, რახთა არავისი წელი შეეხებოდის და
ზაკულებად რამე შეემთხვოს.

4) შივეც საზოლავრო ჯუარი ერთი სხუად
ვეცხლისაა ღეროვანი ცურვებული.

5) შივეც ვეცხლისა კანინი ერთი, დიდი, თე-
თრი.

6) ზა სხუად მივეც მცირე კანინი ერთი ვეცხ-
ლისაა, ოქრო-ცურვებული და კანინი მისი.

7) შივსცენ ვეცხლისა აპალარნი სამნი, რაღ-
თა შეემნენ ზემოთქუმულთა წმიდათა შთასა-
სუენებელნი ბუდენი და სამწერობელნი და სხ-
უად სამსახურებელი ეკლესიისაა, რაცა წმდეს.

8) შივეც ვეცხლისა შრინიმოქსტი, წყვილი
ერთი.

ზ

შივსცენ ჭიქისაცა ჭურჭელნი პატიოსანნი

1) ყროლისა ღუდედიერი ერთი, გამოქანდა-
კებული.

2) ნიქად ბროლისად ფსკერედი, სადაგი, დი-
დი, ერთი.

3) სხუანი ბროლისა ჭიქანი ფსკერედი, გა-
მოქრილნი, ორნი.

4) სხუად ჭიქად ბროლისაა მცირად, ერთი.

5) სხუად ბროლისა მცირე კეფი ერთი, გა-
მოქანდაკებული.

6) სხუად ბროლისა წყლის სასუმელი, პირ-
ცხავი კუტალი, ერთი.

7) შუამი კეფი ერთი, ძუძოანი.

8) შახრუდი ყელ-იწროდ კუტალი ორი.

9) შახრუდივე ჭიქად დიდი, ერთი.

10) შუამი ჭიქად დიდი, ერთი.

11) შახრუდი ორ-ბაგედი ნავის-სახე ჭიქად

ერთი.

12) შახრუდი კეფი ერთი, სხუად.

13) შწუანე მინად, კეფი ერთი.

რ

ითხოერწოთათვს

[აქ ტექსტს აკლია]

ცავი ზე

იქრობეჭედთათვს

ც

იქრობეჭედთათვს, რომელნი დაცვულ

არიან სამეუფოსა ქალაქება,
დიდსა შინა ეკლესიასა

1) იქრობეჭედი სამნი ჩემთა პრასტინთათვს,
რომელნი ცლმოსავალეთს მქონდეს, ესე იგი
არს ერთი ცნისისა, სხუად ჩაოსა და სხუად
ჩორმერისისად.

2) სხუად ოქრობეჭედი ორი ჩემთა პრას-
ტინთათვს, რომელნი ცრმენაკთა მქონდეს, –
ერთი ზავაკამსად არს და ერთი ცრნასაკისა
და შარტისპამსად.

3) სხუად ოქრობეჭედი ერთი, მონასტრისა
კიურა ზეფროსინესი, რომელ არს ქრუსო-
ლივადსა.

4) სხუანი ოქრობეჭედი სამნი შიხაელ მე-
ფისანი შისინოპოლისა პრასტინთათვს.

5) სხუად ოქრობეჭედი ოთხი ფილიპოპოლი-
სა პრასტინთათვს.

6) სხუად ოქრობეჭედი ერთი უბრალოები-
სათვს ხარს თავადობისა ჩემისა.

7) სხუად ოქრობეჭედი ორი განუკითხელო-
ბისათვს ხარნუქალაქს მთავრობისა ჩემისა.

8) სხუად ოქრობეჭედი ერთი თავისუფლად
ყოფისათვს პრასტინთა ჩემთავსა, რომელ არ-
იან ფილიპოპოლისს და შისინოპოლისს შინა.

9) სხუად ოქრობეჭედი ერთი სოფლისა ზან-

თითოსათვეს.

10) სხუად ოქრობეჭედი ერთი შარლონადასა, ჭილასა ზედა წერილი, რომელი-იგი წინდად მაქუს.

11) ზიველონნი ორნი, – ერთი მათგანი არს ზედუკიმოსათვეს, და ერთი – სოფლისა ხოჭორისათვეს.

12) სიმიოსინი ერთი შიხაელ მეფისად უენინაგისა ჰარშივისათვეს.

13) ზერეთვე სიმიოსინი ერთი სხუად მისვე მეფისად ფილიპოპოლისა მიტროპოლიტისა საქმისათვეს.

14) სხუად ოქრობეჭედი ერთი ზოტანიატისად, რომელსა შინა არს სიმიოსინი პრასტინთათვეს ფილიპოპოლისათა.

15) სამეუფო წიგნები, რომელი კატასტროს-ქმნილ არიან სიკრიტონთა შინა; და სხუად წიგნები თვთო-სახეთა პირთათვეს, სამოცდა ექუსი.

16) და სამთა ოქრობეჭედთა სწორნი ცლმო-სავალეთისა პრასტინთათვეს.

ყ

**ოქრობეჭედთათვეს, რომელი დაისხნეს
ნამარხევად მონასტერსა ჩუენსა
და არიან ესე**

1) ოქრობეჭედი ორი უბრალოებისათვეს მთავრობისა ჩემისა დიდსა შინა დემესტიკოსობასა.

2) ოქრობეჭედი ერთი სხუად ციხისა ზანსკა-ესათვეს და სოფლისა ჩრვენასა.

3) სხუად ოქრობეჭედი ერთი ველტიოს-ქმნისათვეს პრასტინთა ჩემთახესა და მათ შინა ციხის გებისა და სოფლისა და მონასტრისა შენებისად.

4) სხუად ოქრობეჭედი ერთი მაგისვე პირისათვეს და ვითარმედ, უკუეთუ განმრავლდეს შემოსავალი პრასტინთა ჩემთა, უურაობად გუაქუნდის მე და ყოველთა ჩემთა შემდგომად ჩემსა.

5) ოქრობეჭედი ოთხი მონასტრისა ჩუენისა უეფრინისად, უფლებისათვეს და თვთმფლობელობისა და მაგისვე მონასტრისა ყოვლადვე აზნაურად ყოფისათვეს, და პრასტინთა ჩემთათვეს, რომელი დაუმტკიცენ მონასტერსა მაგას.

6) სხუად ოქრობეჭედი ერთი სპაზმასა და უანკალინსათვეს.

7) სხუად ოქრობეჭედი ორი უბრალოდ ყოფისათვეს და ულოღარიასოდ დადგრომისა ჩუენისად სამეუფოსა განძისათვეს, რომელი წარვაგეთ კომანთა გამოყვანებასა შინა.

8) სხუად ოქრობეჭედი ერთი უბრალოებისათვეს თემისა ზმოლინასა.

9) სხუად ოქრობეჭედი ორი ცკრიტონისა პრასტინთა ჩემთა: ჟიკონისა და ზართფრთკისათვეს.

10) სხუად ოქრობეჭედი ერთი სამკაულთათვეს პატიოსნისა მონასტრისა ქახულისა.

11) სხუად ოქრობეჭედი ერთი, რათა ჯელმნიფებად მაქუნდეს პრასტინთა ჩემთა¹, ვინაცა მენებოს, ნათესავთა ჩემთა და მსახურთა ჩემთა, დაღაცათუ სომეხნი იყვნენ სარწმუნოებითა.

12) ოქრობეჭედისა სწორი ერთი, პრასტინთათვეს ზოლერონისა და შისინოპოლისათა.

13) სხუად ოქრობეჭედისა სწორი ერთი, ფი-

ლიპოპოლისა პრასტინთა ჩემთათვეს.

14) სხუანი ოქრობეჭედთა სწორი სამნი, ფილიპოპოლისა პრასტინთა ჩემთათვეს.

15) სხუად ოქრობეჭედისა სწორი ერთი, ხარნუქალაქს განგებისა ჩემისათვეს.

16) სამეუფო პიტაკი ერთი, ლოგის-ქმნისათვეს, ყოველთა პრასტინთა ჩემთახესა.

17) სხუად სამეუფო პიტაკი სამი აპოსკედეფსობისათვეს.

18) სხუად პიტაკი ერთი, თემისა ზმოლინად-სათვეს.

19) ცპოდიქსი შიხაელ მეფისად სამისა კენტინარისად და ოცდა შეკდისა ლიტრისად, რომელ ავილეთ სამეუფო მონასტრისა ბრძანებითა ხრტისისაგან ხილიკიელისა და ძისაგან პარაფშაფისა.

20) სხუად აპოდიქსი აპეტისინისა თემისა ზმოლინახესა.

21) ცპოტიქსი განძისად სამისა კენტინარისად, რომელი ფილოტიმიად აილეს ფრანგთა.

22) შაგისვე პირისათვეს პიტაკი ერთი.

23) და სხუად მრავალ-სახე პიტაკები.

24) სიმეოსინი ხარტოფილაკისად და წიგნი მისი თემისა მის მსაჯულისა მიმართ.

25) სიტაკი ზოტანიატისად, რომელი გარდაინერა სიკრიტონისა შინა, მიწერილი იკონომოსსა

თანა შისინოპოლისასა პრასტინთა ჩემთათვეს, რომელი, დაღაცათუ ეპისკეპტობისაგან იყვნეს

¹ ერთი სიტყვა უნდა აკლდეს (ნარცემად? მიცემად? განიჭებად?) ან აქ, ან მესამე «ჩემთა»-ს შემდეგ, «დაცათუ»-ს წინ.

პრასტინი, და ბრძანებად გამოვიდა მისვე მეფისაგან, რომელ ვისცა ვისდა ეპისკეპტობისაგან მიცემულ იყოს, კუალად ეპისკეპტობასავე მიეცეს, გარნა ჩუენი შეურყეველად დაშთენ. ზა ესე პიტაკი სოფიანმიდას არს, სხუათა თანა სასამართლოთა ნაწერთა.

7.

შოსაქსენჯებელი წიგნი და აპოტიქსი ოქრობეჭედთა ჩუენთა და სხუათა სასამართლოთა ნაწერთა, რომელი ნამარხევად სხენან სოფიანმიდას

1) სოკოდიკონი ზრავისა და წელით წერილები მისვე სოფლისა.

2) სოკოდიკონი სოფლისა ურილონგისა.

3) ჩასყიდის ნაწერები ზარდანისი ავლინისათვს, რომელი შისინოპოლს არს და ზორგი-ნმიდისათვს, რომელი საპის არს.

4) ურახტიკონი და პერიერეზმონი ფილიპო-პოლისა პრასტინთათვს.

5) ურახტიკონი და პერიერეზმონი შისინი-პოლისა პრასტინთა ჩემთა.

6) ზა ეგრეთვე აპოტიქსები კონომისა და დიმოსისა და ლიველიკობისათვს.

7) ზოგისიმონობისა წიგნი შისინოპოლისა პრასტინთა ჩემთათვს.

8) ურახტიკონი და პარადოდიკონი ზავაკა-სა.

9) ყელით წერილები და აპოტიქსები სტენიმანისა პანაურელთა.

10) პომნიმა, რომელი შექმნა შისოპტ-მელმან სამეუფოთა ბრძანებითა ჭრნაკსა შორის და ზაქარიას სოფელსა.

11) ურახტიკონი მისვე პირისათვს, რომელი შეიქმნა ბრძანებითა წმიდისა მეფისა ჩუენისა ცლექსისათა, ვიდრელა ჯერეთ დიდად დემესტიკოსად იყო.

12) ურახტიკონი და პერიერეზმონი უფრინისა, ყოველთა ადგილთა, შექმნილი იფი-დოფაისაგან ბრძანებითა წმიდისა და თვითმე-რობელისა მეფისა ჩუენისათა.

13) ზა ესე ყოველი ოქრობეჭდები და სასამართლო წიგნები, რომელი სოფიანმიდას ნამარხევად არიან და რომელი მონასტერს არიან, ყოველნივე იყვნედ ჩუენსა მონასტერსა და ეკლესიასა შინა წელსა ქუეშე მამასახლისისასა, რათა მომავალსა შინა უამსა, ოდესცა საქმარის იყოს, გამოილებდენ და უჩუენებდენ.

ცავი ზე

ზამტკიცებისათვს და დამარხვისათვს
ნესისა ამის განვებისა

5. ზაინერა უკუე და დაემტკიცა წესი ესე განვებისა ამის პატიოსნისა მონასტრისა ჩუენისა იმრთისმშობლისა უფრინონისა ბრძანებითა ჩემ ზრიგოლ სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა ყოვლისა რასავალე-თისა მიღამოვსა, ძისა ყაჟურიანისათა, მაშენებლისა ზემო თქუმულისა ამის მონასტრისა და ეკლესისა, წერილითა ბერძულითა და ქართულითა, თუესა დეკენბერსა, მეშვდესა ინდიკიონსა, დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას 15 სუთას ოთხმეოცდა მეათორმეტსა.

2. ზა ქუემოთ ნარინერნეს წელითა ჩემითა ზემო წსენებულისა ზრიგოლისითა ყოველნივე ესე ტიპიკონი, ხოლო ბერძულნი ორნივე წარინერნეს შემდგომად ჩემისა და ნაწერილისა წმიდისა პატრიაქისა ერუსალემელისა ღირსისა წეფომესითა დასამტკიცებელად და სარწმუნო ყოფად ყოვლისავე, რომელიცა ტიპიკონსა ამას შინა წერილ არს, დახუდომითა მისითა ჩუენ თანა, რამეთუ სამეუფოთა ბრძანებითა 25 ცესალონიკედ მოსრულ იყო მშვდობისა და სიყუარულისა ყოფად შორის ფრანგთა და მოქცევასა მისისა ჩუენ თანა წარმოვიდა ფილიპო-პოლისა პრასტინთა ჩუენთა.

3. ზა ამისთვს დაინერა ბერძულად და ქართულად, რამეთუ მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან და არა იციან ბერძული ნარკითვება, და ჯერ-არს, რათა ქართულად წერილსა აღმოიკითხვიდენ და გულისჯმა-ჰყოფდენ აღნერილსა განსაზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა. ხოლო სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა, რამეთუ დასასრულსა საქმისასა ექუმო წარწერილი მას უპყრიეს.

4. ზა შეიქმნა სწორი ამისი და დაინერა ეგრევე სახედ და დაიდგა პატიოსანსა მონასტერ-სა პანაგიოსასა, რომელ არს იმრთივ დაცულე-სა ზალაქასა სამეუფოსა, რათა უკუნისამდე მუნ დამიარხოს მასვე მონასტერსა შინა.

5. ზა უკუეთუ სადა, – ვითარ-იგი მე არა მწადის, – წინამძღვართაგანი ვინმე მონასტრისა ჩუენისათა, ანუ სხუად ვინმე ძმათაგანი მაზრებელად ზემო წსენებულისა ამის მონასტრისა, გინა პრასტინთა მისთა ანუ საქმართა იპონს და შეურაცხ-ყოფად ეცადოს, რომე-

ლი-რად ტიპიკონსა ამას შინა წერილ არს, ანუ თუ მებრ დაწინად ამისა, გინა წარწყმედად ის-ნრაფოს, ტიპიკონი იგი, რომელი სანაგისა მონასტერსა ნამარხევად ძეს, გამოიჩინოს და ემსილოს ესევითარსა მას, რომელმან ეგვი-თარი იგი უსამართლოებად ყოფად იკადროს და ქმნას, და ჯეროვნად განიწუართოს. ზა რადცა დაეკლოს, ეზღვიოს მას და თვთ გა-ნიძოს მონასტრისაგან. ზა კუალად ტიპიკონი იგი დაიდგას მონასტერსა სანაგისასავე, და არა მნებავს რამთურთით გარეგან მონასტრი-სა გინა სამეუფოლესა ზალაქისა განსლვად ამისი, ანუ თუ დამალვად.

6. ქომლისათვს ვაფუცებ მამასახლისთა, რომელი ყოფად არიან მონასტერსა ჩუენისა და მის თანა ძმათა ყოველთა თავადსა წმი-დასა იმრთისმშობელსა, რამთა დაიმარხოს მათ მიერ ნებად ჩუენი და შჯულის-დებად ესე და ამასვე მონასტერსა შინა დამარხულ იქმნას ტიპიკონი ესე მონასტრისა ჩუენისა. ზა თუ ვისმე უწმდეს გარე განლებად ამისი სასარჩლოლესა რახსამე საქმისათვს, ამისგან, რომელ არს მონასტერსა ჩუენისა, სწორი მისი დაინტერი და დაიმტკიცოს წინამძღვრისა და ძმათაგან და წარიცეს ვითა თავადივე ტიპ-იკონი და, ვითარცა ვთქუთ, წულდეს წუმცა განსრულ არს მონასტრისაგან ჩუენისა თავადი ტიპიკონი.

7. მტკიცე: არიან: ზემო: წერილი: ესე: ნებ-ითა: იმრთისახთა:

8. ქვეულნი ყოველნი რვითა ფურცლითა არიან და არა არს მათ შინა აღმოკუეთილი და წუცალა ვინ იკადრებს აღმოკუეთად!

ტავი ზე

ცორმეტთა საუფლოთა და სამთა
სხუათა საჩინოთა დღესასწაულთათვს,
თუ ვითარ დღესასწაულობრენ

1. ზანვანესებთ უკუე და ვამცნებთ ყოვ-
ელთა შემდგომად ჩუენისა მომავალთა წინამძ-
ღუართა და სულისა ჩუენისა მოურავთა, მკუ-
დრთა მონასტრისა ჩუენისათა, რამთა წმიდათა
ამათ ათორმეტთა ზრისტეს იმრთისა ჩუენისა
განგებულებისა საუფლოთა დღესასწაულთა
უბრნყინვალესად დღესასწაულობრენ: დამის
თევითა, გალობითა, ეკლესიისა შემკობითა
ბრნყინვალედ სანთელთა მიერ და კანდელთა

და საკუმეველთა მიერ სულნელთა განშუენ-
ებითა, უზუად ტრაპეზისა დაგებითა და ძმათა
კრებულისათა კეთილად წუგეშინის-ცემითა,
გლახაკთა ღუწოლითა და ქველის-საქმისა მი-
ცემითა საქსრად სულთა ჩუენთათვს და ყოვ-
ელთა მიცვალებულთა ჩუენთა.

7. სრეთ ჰყოფდენ:

2. ქარებასა დღესა ყოველთა უამი ჩემთვს
წირონ. შას დღესა ტრაპეზი დაეგოს უხუებით

10 და გლახაკთა ულონოთა განეყოს დრაპეკანი
ათი და მლდელთა უამის მწირველთა ექუსთა,
ვითა ზემო დაგვწერია და განგვწესებიან, სამ-
თა და სამთა თვთო დრაპეკანი.

3. ზრისტეს ქობად ყოველთა მლდელთა უამი
15 ჩემთვს წირონ. შას დღესა ტაბლად დაეგოს
ბრნყინვალე და გლახაკთა ულონოთა განეყოს
დრაპეკანი ათი და ექუსთა უამის მწირველთა
მიეცეს დრაპეკანი ორი.

4. შიგებებად ყოველთა მლდელთა უამი ჩე-
20 მთვს წირონ. ერაპეზი დაეგოს უხუებით მას
დღესა და გლახაკთა განეყოს დრაპეკანი ათი
და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაპეკანი.

5. ზანცხადებად ყოველთა მლდელთა უამი
ჩემთვს წირონ. შას დღესა ტაბლად დაეგოს ბრ-
25 ნყინვალე, გლახაკთა განეყოს დრაპეკანი ათი
და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაპეკანი ၅.

6. ზერისცვალებად ყოველთა მლდელთა
უამი ჩემთვს წირონ. შას დღესა ტრაპეზი და-
ეგოს უხუებით და გლახაკთა განეყოს დრაპე-
30 კანი ათი და ხუცესთა ექუსთა მიეცეს დრაპეკანი
ორი.

7. ქზობად ყოველთა მლდელთა უამი ჩემთვს
წირონ. შას დღესა ტაბლად დაეგოს უხუებით,
გლახაკთა განეყოს დრაპეკანი ათი და ექუსთა
35 ხუცესთა მიეცეს დრაპეკანი ორი.

8. სე ექსუნი საუფლონი დღესასწაულნი
ჩემ ქრიგოლისთვს, ზემო წენებულისა ამის
მონასტრისა მაშენებლისათვს განმიჩნიან,
რამთა ჩემთვს აღაპსა ჰყოფდენ ამით სახითა.

40 9. ზანცხად ამასვე პირსა ზედა განვაწესებ
და დავამტკიცებ სანასტრელისა ძმისა ჩემისა
დაზ მაგისტროსისათვს:

10 10. ზიდსა სარასკევსა ტაბლად დაეგოს ჯერ-
ისაგებრ და გლახაკთა განეყოს დრაპეკანი ათი.

15 11. ზა დაღაცათუ მას დღესა უამის წირვად არა
აღესრულების, არამედ ქავისხლოსა მის შე-
ხურპლისა ზანახლებად იქმნების, ჯერ-არს,
რამთა ექუსთა უამის მწირველთა ორი დრაპე-
კანი მიეცეს.

10. Ծიდსა ყაბათსა მღდელთა უამი ძმისა ჩემისა ცხაზისთვის წირონ. შას დღესა ტაბლად დაეგოს უხუებით, გლახაკთა განეყოს დრაპეკანი ათი, ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაპეკანი ორი.

11. ცღვსებასა დღესა ყოველთა უამი ძმისა ჩემისათვის წირონ, ტრაპეზი დაეგოს ბრნყინვალე, გლახაკთა განეყოს დრაპეკანი ათი, ექუსთა ხუცესთა – დრაპეკანი ორი.

12. ცმალლებად ყოველთა ძმისა ჩემისათვის წირონ. წრაპეზი დაეგოს უხუებით, გლახაკთა განეყოს დრაპეკანი ათი, უამის მწირველთა – დრაპეკანი ორი.

13. სულისა წმიდისა მოსვლად ყოველთა ძმისა ჩემისათვის უამი წირონ. ჩაბლად დაეგოს ბრნყინვალე, გლახაკთა განეყოს დრაპეკანი ათი, ექუსთა ხუცესთა – დრაპეკანი ორი.

14. Ծიდი ქუთშაბათი ზემო დაიწერა სანატ-რელისა მამისა ჩუენისა ყაკურიანისათვის. Ծარად მათთვის დაგვწესებია გასაყოფელად გლახაკთა, კუალად მუნითცა მიეცეს უამის მწირველთა ორი დრაპეკანი.

15. Ծა შიცვალებასა წმიდისა იმრთისმშობე-

ლისასა, რომელ არს დღესასწაული წმიდისა ეკლესისა ჩუენისა, და ცავის კუეთასა წმიდისა ზოვანე ჩათლისმცემელისასა და ზორგინმიდობად ძმათა მონასტრისათა განეყოს

5 5 თორმეტ-თორმეტი დრაპეკანი. ცმათ სამთავე დღესასწაულთა ოცდა ათექუსმეტი დრაპეკანი მონასტრისა ჩუენისა მონაზონთა განეყოს, უამის მწირველთა და ყოველთა ძმათა ერთობით სწორად: ათორმეტი იმრთისმშობლისა 10 შიცვალებად, ათორმეტი ცავის კუეთად, ათორმეტი ზორგინმიდობად.

16. ჯერ-არს უწყებად: უკუეთუ ქარებად წიდსა ქუთშაბათსა მიხუდეს, ექუსთა მღდელთა უამის მწირველთა სამთა მამისა ჩუენისათვის 15 წირონ და სამთა – ჩემთვი; ხოლო მათი განწესებული არა დააკლდეს, არცა რომელ ვითარ გლახაკთათვის განგვწესებია თითოეულისა დღესასწაულისა, არამედ წარსაგებელი ყოველი განეყოს.

20 17. გრეთვე წიდსა პარასკევსა და წიდსა ყაბათსა და ცღვსებასა უკუეთუ ქარებად მიხუდეს, ესრეთ ჰყოფდენ.



წიდებად იმერთსა სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა!

წა დიდებად ყოვლად წმიდასა იმრთისმშობელსა!

